საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 141 (687) პარასკევი, 2 ივლისი, 1993 წელი ფასი 15 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 30 ივნისს ფრონტის მთელ ხაზზე დილიდან ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული.

თორმეტ საათსა და 10 წუთზე მოწინააღმდეგემ დაიწყო ქალაქ სოხუმის საარტილერიო დაბომბვა — 40-ზე მეტი ჭურვი აფეთქდა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. არის ნგრევები, მაგრამ საბედნიეროდ ჭურვების აფეთქებას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია.

საარტილერიო დაბომბვამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. ჩვენმა მეომრებმა საპასუხო ცეცხლის გახსნისაგან თავი შეიკავეს.

19 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ კვლავ ცეცხლი გახსნა ტანკებიდან და ავტომატური იარაღიდან. პოზიციური ბრძოლები და სროლა დაახლოებით შუაღამემდე გაგრძელდა. ღამე და 1 ივლისის დილიდან ფრონტის ხაზზე სიმშვიდე იგრძნობოდა. ასევე სიმშვიდე იგრძნობოდა ოჩამჩირის რაიონში.

იოსებ ბობეჩია.

●

ორი შემთხვევა ქუთაისში

საბრძოლო მოქმედების დამანგრეველი ძალა საკუთარ თავზე იწვნიეს ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე 76 ბინის მცხოვრებლებმა. გუშინ, 30 ივნისს, ღამის საათებში მათ სახლს დაეჯახა და დაანგრია ამავე რაიონში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილის ჯავშნიანი მანქანა, რომელსაც როგორც მოგვიანებით გაირკვა მთვრალი სამხედრო მოსამსახურეები მართავდნენ. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ამ დროს ბინაში არავინ არ იყო. ამჟამად, სამხედრო ნაწილის მესვეურებმა აღიარეს თავიანთი დანაშაული და განაცხადეს, რომ მთლიანად გაიღებენ ამ ორსართულიანი სახლის აგების ხარჯებს.

• • •

მიმდინარე წლის უკვე მერამდენედ გაჩნდა ხანძარი ჩიჩილაშვილის ქუჩაზე მდებარე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილში. როგორც წინა შემთხვევებში, არც ახლა დაუშვეს ნაწილის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ გამოძახებული ქალაქის სახანძრო მანქანა.

თუ უბნის მცხოვრებთა მონაცემებს დავეყრდნობით, ნაწილის საწყობები კარგა ხანია ცარიელია და აქ ყოველ ღამე გაუთავებელი ღრეობა და უთავბოლო სროლა მიმდინარეობს. ძალზე საეჭვო ვითარებაში ჩნდება ხანძრებიც. არადა, რომ არაფერი ვთქვათ, ქალაქის ცენტრში განლაგებულ ამ მჭიდროდ დასახლებულ რაიონსა და მასთან მიმდებარე საკოლმეურნეო ბაზარზე, ზუსტად ნაწილის შესასვლელის წინ მდებარეობს ჩვილ ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო და საბავშვო ბაღი.

მაკა კილაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები: დარბაზსა და ფოიეში

საქართველო კავკასიურ ცარცის წრეში,
ანუ განაპირა ცივილიზაციის ვნებები

დეპუტატმა ირინა სარიშვილმა იხმარა ეს შედარება — საქართველო კავკასიურ ცარცის წრეში აღმოჩნდა, ყველა თავისკენ ეწევაო. ასეც არის. ოღონდ ერთია: იმ გამწევ-გამომწევთაგან საქართველოს დიდა არავინ არის, რომ დროზე გაუშვას ხელი, რათა შუაზე არ გახლიჩოს იგი. ამის ჭკუა ჩვენ თვითონ უნდა გვეყოს.

დარბაზში

ვერ გეტყვით, მაინც რა განაპირობებს შეგრძნებას, რომ თითქოს იწყება ერთგვარი ათვლის წერტილის ძიება — ინტუიცია? სურვილი? რეალობა (ასეთი იმედისმომცემი შედეგებით დამთავრებული ბოლო ვიზიტი)? ანდა, სულაც იმის გაცნობიერება, რომ ყველა გზა უკვე მოჭრილია, უკუსვლის ლიმიტი (თუ არსებობდა ასეთი) ამოწურულია? ჩვენ ასე გვგონია, გუშინდელ სხდომაზე სწორედ ამ წერტილის განსაზღვრის ცდა იყო. დილის სხდომაზე პირველ სამ საკითხად წარმოდგენილ პრობლემებზე — 1. კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისათვის დროებით ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. 2. დადგენილება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების თაობაზე და 3. კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს შესახებ, — დებატები თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. ბუნებრივიცაა, რადგან ეს საკითხები ისე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთზე, რომ დაცალკევება ჭირს.

სახელმწიფოს მეთაურისთვის ფუნქციების გაზრდის თაობაზე რესპუბლიკელთა ფრაქციის მიერ წამოყენებულ წინადადებას და თავად სახელმწიფოს მეთაურის მოთხოვნას ამ დამატებითი ფუნქციების შესახებ პარლამენტი ძირითადად დადებითად შეხვდა. ამასთან გამომსვლელები გამოთქვამდნენ შეხედულებებს, თუ რას უნდა მიექცეს მომავალ საქმიანობაში უმთავრესი და უპირველესი ყურადღება.

ივლიანე ხაინდრავას აზრით, ასეთი ყურადღება სჭირდება ეკონომიკურ რეფორმებს, რადგან ძველი სტრუქტურებით ახალი სისტემა არ შეიქმნება. ირინა სარიშვილმა აქცენტი გააკეთა წესრიგზე. ამასთან მას მხედველობაში ჰქონდა არა მარტო კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორება, არამედ, საერთოდ წესრიგი ძალზე ფართო და ღრმა მნიშვნელობით.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების გაზრდასთან ერთად არ უნდა დაკნინდეს პარლამენტის მნიშვნელობა. პირიქით იგი უფრო ქმედითუნარიანი უნდა გახდეს.

ირაკლი მელაშვილმა კორუფციასთან ბრძოლა გამოჰყო და თქვა, საქართველო გინესის წიგნში უნდა შევიდეს იმით, რომ ასეთი ტოტალური კორუფციის პირობებში არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული.

ბატონი ჟიული შარტავას აზრით დღეს ყველაზე გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საქართველოს გაერთიანებაა.

სახელმწიფოს მეთაურისათვის დამატებითი ფუნქციების მინიჭების თაობაზე დარბაზის საერთო სულისკვეთების საწინააღმდეგო აზრი აღმოაჩნდა ბატონ აკაკი ასათიანს. იგი უფლებამოსილების გაზრდის წინააღმდეგი გამოვიდა და თქვა, რომ აქ კონკრეტულ პიროვნებაზე არ არის საუბარი, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ პერსპექტივა, კერძოდ ის, თუ რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით წლების მერე როდესაც მართვის სათავეში ბატონ ედუარდის ნაცვლად სხვა მოვაო. კი, ბატონო, ეს კი ასეა, მაგრამ...

დღეს თუ დავილუპეთ, პერსპექტივაზე ფიქრი იმქვეყნად მოგვიწევს. და, საერთოდ, როდესაც მენტორული ტონით მოსაუბრე ბატონ აკაკი ასათიანს ვუსმენთ, ყოველთვის გული გვწყდება: ეტყობა, მან ეს მდიდარი გამოცდილება მოგვიანებით შეიძინა, თორემ ამდენი კეთილი რჩევა თავისი პრეზიდენტისთვის რომ მიეცა, რამდენ უბედურებას ავცდებოდით!

ფოიეში

კიბეზე აჩქარებით ამომავალი დეპუტატები სასწრაფოდ იკავებენ რიგს და მორჩილად დგებიან ერთმანეთის უკან. ეს ძირითადად მწეველთა კატეგორიაა, რადგან ამდენი ხნის ნანატრი სიგარეტი, როგორც იქნა, გამოჩნდა პარლამენტის შენობაში და ამ შესაძლებლობას ხელიდან ვინ გაუშვებს. „სიგარეტი თორემ"... უკმაყოფილოა ზოგი. „პრიმა", „განთიადი"...

ისე კი ფოიეში ცოტა ვინმე თუა: გასაგებია — სხდომას სახელმწიფოს მეთაური ესწრება. სიგარეტი გათავდა და ფოიე ნელ-ნელა დაცარიელდა.

შესვენება იწყებოდა, ლიფტიდან რომ დეპუტატი გამოვიდა, დარბაზში შესვლა აღარც უცდია. ცოტა ხანს იქ ჩამოჯდა. სხდომის მეორე ნაწილი კი სასადილოში გაატარა.

— დღეს ყველაზე დიდი საქვეყნო საქმე იხილება და ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ! — ამაოდ გაისარჯა სპიკერი სხდომის დასაწყისში ამ განცხადებისათვის.

არც მაინცდამაინც ის სასადილო ხიბლავს დეპუტატებს: ძვირია, თანაც ცუდი სადილებიაო, ხშირად ჩივიან.

178 კუპონი ბორში, 254 — ლობიო, 51 — შილაფლავი, აზუ (ჩვენებურად „სოუზი") — 295 კუპონი და ასე...

ერთ დეპუტატს ისიც კი უთქვამს: სასადილოს მუშაობა რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმოსო, თითქოს სხვაგან ყველგან საათივით გვქონდეს საქმე აწყობილი.

და ბოლოს:

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ასეთი რამ თქვა: არსებობს ცნება — განაპირა ცივილიზაცია, რაიც დამახასიათებელია ვითომ ამ გზაზე შემდგარი ქვეყნებისათვის, რომელთათვის ხელმისაწვდომია ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი მხოლოდ იოლად გადმოსაღები მომენტები, როგორიც არის, ვთქვათ, პორნოგრაფიული ფილმების ღიად ჩვენება. ჭეშმარიტი ცივილიზაციის ქვეყნების სიღრმისეული არსობრივი მახასიათებლები კი მათთვის მიუწვდომელია.

აი, ამ დღეში ვართ დღეს ჩვენ. ანიდან და ბანიდან ვიწყებთ. შევძლებთ ამ გზაზე შემდეგი ნაბიჯების გადადგმას?

მარადი ანასაშვილი,
გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტები.





თბილისი—„კოკა-კოლას"
ახალი მისამართი

30 ივნისს თბილისში გაიმართა ფირმა „კოკა-კოლას — კავკასიონის" პრეზენტაცია, რომელიც ერთად შექმნეს ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია „კოკა-კოლამ" და ქართულმა ფირმა „კავკასიონმა".

სურათებზე: ფირმა „კოკა-კოლა-კავკასიონის" პრეზენტაციის დროს.
ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პური ჩვენი არსობისა

რატომ არ მცირდება რიგები?

იმ დღეებში, როდესაც საქართველოს რიგ რაიონებში პურის ცხობაში შეფერხება შეიქმნა, პურპროდუქტების რესპუბლიკური კორპორაციის მცირე საწარმო „ოქროს თავთავი" (ვაზისუბნის დასახლებაში) თავისი ჩვეული რიტმით მუშაობდა. ასეა ახლაც, თუმცა სადღეღამისო მუშაობას მის კართან რიგი არ შეუმცირებია, ხოლო ზოგჯერ შეიარაღებული დაცვის გამოძახებაც იყო აუცილებელი, როდესაც რიგში მდგომების ვნებათა ღელვა საშიფათო ზღვარს უახლოვდებოდა.

დიახ, საწარმოში პური ცხვება მუდმივად, დღე და ღამე. მაშ რატომ არ კლებულობს ამ უბანში მაინც რიგი და რატომ სჭირდება პურის ყიდვას ზოგჯერ ექვსი საათი?

— სანამ ჩემს აზრს გაგიზიარებდეთ, — მითხრა „ოქროს თავთავის" დირექტორმა გურამ სალარაძემ, — უნდა გითხრათ, რომ ჩვენ არა მარტო ვაცხობთ, აქვე ვყიდით კიდეც ცხელ-ცხელ პურს. ღამითაც ვაგრძელებთ საქმიანობას, მაგრამ რიგი მაინც არ შეთხელდა.

ამას აი რით ვხსნი. საცხობი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ვაზისუბნის მოსახლეობას, მაგრამ ჩვენთან პურის საყიდლად მოდიან რაიონებიდან ჩამოსული მომხმარებლებიც. ასეა მთელ თბილისში, რაც წარმოქმნის პურის დეფიციტს. ეს რომ არ იყოს, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს რაიონებში მოსახლეობის ხორბლით და ფქვილით მომარაგებაზე. მართალია დედაქალაქის პურის ქარხნები და საცხობები ფქვილით შეუფერხებლად მარაგდება, მაგრამ ხალხის მოზღვავება იმ რაიონებიდან, სადაც ფქვილის მიწოდებაში შეფერხებებია, პურით ვაჭრობაში დიდ სირთულეებს ქმნის თვით თბილისშიც. რასაკვირველია, შეიძლება პურის გაცემა სიებით, მაგრამ ასეთ დროს უხერხულია უარი უთხრა გაჭირვებულ ხალხს, რომელიც პურის ნაკლებობას განიცდის. მაგრამ, მეორე მხრივ, არცერთ მაღაზიას არ შეუძლია ხალხის ასეთ მოზღვავებას გაუძლოს. ისიც ფაქტია, რომ ზოგი პურს სახლისთვის კი არა, ბაზარზე წასაღებად და საპეკულაციოდ ყიდულობს.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია რესპუბლიკაში ხორბლის მიწოდებასა და განაწილებაზე მკაცრი კონტროლი დაწესდეს, გამოვლინდეს ის რგოლები, სადაც ხდება შეფერხება.

— თქვენ თვლით, რომ ამის გარდა სხვა პრობლემები არ არის?

— პრობლემებს რა დალევს. დღეს ჩვენს პურის მრეწველობას, ისევე როგორც სხვა დარგებს, რთულ პირობებში უხდება მუშაობა. იმდენი ობიექტური სიძნელე არსებობს, რომ ამით სარგებლობის ცდუნება შეიძლება ბევრს გაუჩნდეს. საწვავის დეფიციტის გამო ხორბლის, ფქვილისა და პურის გადაზიდვაში შეფერხება შეიძლება ყოველ ნაბიჯზე წარმოიქმნას. თბილისის მერია ნემსის ყუნწში ძვრება, რომ დედაქალაქში ასეთი შეფერხებები არ იყოს, მაგრამ ადგილებზე, რაიონებში, ამის ორგანიზება ყოველთვის ვერ ხერხდება. ბევრი რამ არის დამოკიდებული ელექტროენერგიით მომარაგებაზეც.

კიდევ ერთი პრობლემა: პურის საცხობების დაცვა საჭიროა მუდმივად და არა დროდადრო, განსაკუთრებით ღამის საათებში...

გურამ სალარაძეს, მსოფლიოში აღიარებულ სპორტსმენს, აქვს იმედი, რომ საერთო სიტუაცია თანდათან გაუმჯობესდება და პურის რიგებიც მოისპობა. მას განზრახული აქვს შექმნას ჩემპიონ სპორტსმენთა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც შეძლებისდაგვარად დაეხმარება სპორტის ვეტერანებსა და მათ ოჯახებს. ამისთვის, ამბობს ის, აუცილებელია გაიშალოს ბიზნესმენთა ინტერმოძრაობა, რომელიც გააერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენებს, ჩვენი ირანელი და თურქი მეგობრების საერთო ძალისხმევას.

ნოდარ ბალანჩივაძე.

ნომერში

- გზა აღთქმული ქვეყნისაკენ უდაბნოზე გადის. 2
- კანტი: საქართველო მზეთუნახავების ქვეყანაა. 3

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ტყიბულის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს უშანგი გურეშიძე ტყიბულის გამგეობის თავმჯდომარედ.

გათავისუფლდეს რევაზ ჰეჟინაძე ტყიბულის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ედუარდ შევარდნაძე.

30 ივნისი, 1993 წ.

უშანგი გურეშიძე დაიბადა 1941 წელს, წყალტუბოს რაიონის სოფ. გუმბრაში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთოგეოლოგიური ფაკულტეტი.

1966 წლიდან მუშაობს ქ. ტყიბულში: შახტის უბნის უფროსის მოადგილედ, უბნის უფროსად, დირექტორის მოადგილედ, მთავარ ინჟინრად, დირექტორად; ბოლო პერიოდში დეპარტამენტ „საქნახშირის" თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს გერმანე ფაცაცია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 ივლისი.

ნარკომანიის წინააღმდეგ

1993 წლის 28 ივნისს შედგა გაერთიანებული სხდომა საპარლამენტო კომისიების, ფრაქციების, დამოუკიდებელ დეპუტატთა და შესაბამის სამინისტროთა ხელმძღვანელების მონაწილეობით.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ტერიტორიაზე გახშირდა შეიარაღებული პირების თავდასხმა სამედიცინო სამსახურის პერსონალზე ნარკოტიკული ნივთიერებების დაუფლების მიზნით. ამ ეტაპზე შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის სხდომამ საჭიროდ მიიჩნია:

შეიქმნას პარლამენტის წევრთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს შესაბამისი უწყებების მიერ გაწეულ მუშაობას (თ. გაზდელიანი, გ. ლობჟანიძე, თ. მგელიაშვილი, თ. ქორქოლიანი, გ. ციხიშთავი, მ. ჩაკვეტაძე);

დაევალოს პარლამენტის იურიდიულ, კანონიერების დაცვისა და მართლწესრიგის კომისიებს, წარუდგინონ პარლამენტს დასამტკიცებლად დამატება სისხლის სამართლის კოდექსში: — მედიცინის მუშაკზე თავდასხმისას პასუხისმგებლობა გაუტოლდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკზე თავდასხმას;

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეადგენს სამუშაო გეგმასა და წინადადებებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის (ბატონი თ. ხაჩიშვილი);

დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქებისა და რაიონების პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებს, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომენდანტებს, რესპუბლიკის პროკურატურას მიიღონ შესაბამისი ზომები საავადმყოფოებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე და სამედიცინო პერსონალზე შეიარაღებული თავდასხმების აღკვეთის მიზნით. თითოეულ გამოვლენილ ფაქტს მისცენ პრინციპული შეფასება, მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე (თ. ხაჩიშვილი, გ. ყარყარაშვილი);

ამ კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ შესაბამისი კომისიები (ჯანმრთელობის დაცვის, იურიდიული, თავდაცვის, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის) გაერთიანებულ სხდომაზე ყოველ ორ კვირაში მოსმენილ იქნას ინფორმაციები. პერიოდულად მოსმინდეს პარლამენტს (თ. გაზდელიანი, შ. ნათელაშვილი, ნ. ნათაძე, ვ. ადამია);

დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასწრაფოდ მოაწესრიგოს ნარკოტიკულ საშუალებათა შენახვის, გამოყენების და გადაადგილების დაცვის მექანიზმი. ამაღლდეს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებათა აღრიცხვიანობისა და მათი მიზნობრივი ხარჯვის მიზნით (ი. მენაღარიშვილი).

შეიქმნას სამედიცინო მრეწველობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (კონტროლი დაევალოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიას).

საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრი.

ბრიფინგი რუსეთის საელჩოში

ამ დღეებში თბილისში რუსეთის საელჩოში გაიმართა ბრიფინგი, რომელიც მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ერთი წლისთავს. ბრიფინგზე მოწვეული იყვნენ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები.

რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ზემსკიმ ისაუბრა იმ მეტად მნიშვნელოვან და რთულ მოვლენებზე, რომლებიც დროის ამ მონაკვეთში მოხდა ორივე ქვეყნის ცხოვრებაში.

— რუსეთი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, — აღნიშნა მან, — მის ინტერესებში არ შეიძლება შედიოდეს აფხაზეთში ომის გაჭიანურება, ის მხოლოდ გარკვეულ წრეებს თუ აძლევს ხელს, რაც არ უნდა ჩაითვალოს ოფიციალური რუსეთის პოზიციად, — ხაზი გაუსვა მან.

ვლადიმერ ზემსკიმ საქართველო-რუსეთის მომავალ ხელშეკრულებას ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი უწოდა. ისაუბრა ამ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობაზე, მნიშვნელოვან სასიცოცხლო კავშირებზე ეკონომიკაში, კულტურაში, სხვა სფეროებში. გამოთქვა წუხილი, რომ ხელშეკრულებაზე მუშაობა ერთგვარ ჩიხში მოექცა, რომ საქართველოში ამ საკითხზე არის განსხვავებული პოზიციაც.

— ვფიქრობ, საბოლოოდ სალი აზრი გაიმარჯვებს, — თქვა მან, — საქართველო-რუსეთის შორის ურთიერთობის მოგვარება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში.

დასასრულ ელჩმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

მზია გელენავა.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1 ივლისის ნომერში, მასალაში „დასავლეთში არ შეიძლება დიდხანს სუფევდეს სიმშვიდე, თუ აღმოსავლეთში მოვლენები კეთილად არ წარიმართება" პირველი სვეტის მე-7 აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „პრემია 1991 წელს დაარსა ფონდმა „FyS", მისი მიზანი იყო". შემდეგ როგორც ტექსტშია.

ტრანსპორტი ყველას გვაღელვებს

მკითხველთა შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი მიხეილ გურგენიძე

პირდაპირი კავშირი

დღეს საქართველოში ტრანსპორტი, ისევე როგორც ყველა სხვა დარგი, დიდი შეფერხებებით მუშაობს. ამას მტკივნეულად განიცდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, მთელი ჩვენი მოსახლეობა. ეს გამოჩნდა კიდეც მკითხველთა შეკითხვებში, რომლებიც მათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრს მიხეილ გურგენიძეს გამოუგზავნეს.

კორესპონდენტი: ბატონო მიხეილ, ალბათ უპრიანი იქნება საუბარი დავიწყოთ თვით ტრანსპორტის მუშაკის მიერ გამოგზავნილი შეკითხვით.

მ. გურგენიძე: არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თანახმა ვარ.

მ. ბებეშკორი: დღეს, ისევე როგორც სხვა ავტოსატრანსპორტო საწარმოებს, ქუთაისის № 2658 სატვირთო ავტოკოლონის მუშაკებსაც მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. როგორია დარგის ხელმძღვანელთა სამომავლო გეგმები ავტოტრანსპორტის საწვავით და სათადარიგო ნაწილებით მომარაგებისა და მუშაკთა დასაქმების უზრუნველყოფის მხრივ?

მ. გურგენიძე: ცხადია, მდგომარეობა ყველგან მძიმეა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საწვავ-საცხებით და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება მთლიანად სამინისტროზე არ არის დამოკიდებული. თუმცა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საავტომობილო საწარმოებში მატერიალური რესურსების დეფიციტი რამდენადმე შეამსუბუქოს.

სწორედ ამ მიზნით ხორციელდება ეგრეთ წოდებული „უზრუნველმყოფელი" რგოლების და სამსახურების ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა. კერძოდ, შეიქმნა საწვავ-საცხები მასალებით უზრუნველყოფის სამსახური — კონცერნი „ავტოტრანსუზრუნველყოფა", ერთობლივი საწარმოები „საქართველო-ნიჟნინოვგოროდი-ავტოსერვისი" და „საქართველო-მაზ-ავტოსერვისი". უახლოეს პერიოდში შეიქმნება კიდევ ერთი ერთობლივი საწარმო ფირმა „ელატთან", რომელიც აკუმულატორებს დაამზადებს. ამის მიუხედავად არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტი ჯერჯერობით მცირეა, საწარმოთა წინაშე მდგომი პრობლემები ძალზე ნელა წყდება.

ვ. ბაშაკაშვილი: ბატონო მიხეილ, ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთ ტრანსპორტის სიძნელეებთან ერთად აქ გამეფებული უდისციპლინობაც გვაწუხებს. ეს იმის ბრალიც არის, რომ მძღოლები უბილეთოდ მგზავრობის მოყვარულთა მიმართ გაუმართლებელ ლოიალობას იჩენენ. მე მაქვს წინადადებები, რომელთა დანერგვა, ვფიქრობ, აამაღლებს საკონტროლო სისტემის ეფექტიანობას.

მ. გურგენიძე: ეს მართლაც აქტუალური საკითხია, რომლის შესახებაც უკვე ვესაუბრე თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობას. ისინი მზად არიან თქვენთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს მიგიწვიონ პრობლემის დეტალური განხილვისათვის.

ლ. ჯოხაძე: ლოტკინის დასახლების მცხოვრებნი პირდაპირ გაგვაწვალა უტრანსპორტობამ, ერთადერთი ტრამვაია (№ 2) დადის და ისიც არ მუშაობს რეგულარულად. გატანჯული ხალხი 4 კილომეტრზე ან ფეხით დადის, ან იძულებულია მიკროავტობუსებში 50 მანეთი გადაიხადოს. ბოლოს და ბოლოს, რატომ არ შეიძლება აღვადგინოთ სამარშრუტო ავტობუსის მოძრაობა?

მ. გურგენიძე: უკანასკნელ პერიოდში მგზავრთა გადაყვანის მთელმა სიმძიმემ ელექტროტრანსპორტზე გადაინაცვლა, რის გამოც ტრამვაი-ტროლეიბუსების დიდი ნაწილი ნაადრევად გამოვიდა, ან გამოდის მწყობრიდან. სათადარიგო ნაწილების და მოძრავი შემადგენლობის დეფიციტის გამო მათი მთლიანად აღდგენაც ვერ ხერხდება. ამას ემატება ტრამვაის № 2 მარშრუტზე საათობით ელექტროენერგიის გამორთვის ფაქტები, რაც მგზავრთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. აი, ავტობუსი რომ არ მოძრაობს, ეს უკვე გზის უწესრიგობის ბრალია. ჩვენ მზად ვართ ეს პრობლემები შესაბამის უწყებებთან ერთობლივად გადავწყვიტოთ.

ჯ. ბერიაშვილი: დედაქალაქში № 201 და № 65 მარშრუტის ავტობუსების (ექსპრესული და ნახევრადექსპრესული) მიმოსვლაშიც ირღვევა რეჟიმი, მუშაობის დაწყებისა და დამთავრების ვადები.

მ. გურგენიძე: ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ უკვე იზრუნა და, როგორც ვიცი, გადამჭრელი ზომებიც მიიღო.

ნ. შარაშენიძე: მოძრაობის გრაფიკის დაცვაზე აღარ ვლაპარაკობ (იგი ყველგან ირღვევა), ამას ისიც ემატება, რომ № 75 მარშრუტის ავტობუსზე მძღოლები მგზავრებს 5 მანეთის ნაცვლად 10 მანეთს ახდევინებენ.

მ. გურგენიძე: აღნიშნული მარშრუტით, ცხრილის მიხედვით, ორი ავტობუსი უნდა მოძრაობდეს, მაგრამ გაჭირვების გამო მხოლოდ ერთი მუშაობს. არის მგზავრობის ღირებულების დამახინჯების ცალკეული შემთხვევები, რომლის აღსაკვეთად ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანება მკაცრ ღონისძიებებს ახორციელებს.

შ. აფციაური: მე, ბატონო მინისტრო, ავტოტრანსპორტის პრივატიზაციასთან დაკავშირებული საკითხები მაინტერესებს. კერძოდ, რა როლს ასრულებს ამაში ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელსაც საპრივატიზებო ავტომობილი ეკუთვნის?

მ. გურგენიძე: საქართველოს მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 557-ე განკარგულებით საწარმოებსა და ორგანიზაციებს შემდგომი ექსპლუატაციისთვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელი ავტოტრანსპორტის რეალიზაციის (პრივატიზაციის) უფლება მიეცათ. პრივატიზაციის მეთოდიკის თანახმად სატრანსპორტო ერთეულის პრივატიზაციის ინიციატორი უნდა იყოს ამ ტრანსპორტის მფლობელი საწარმო, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ავტომობილის რეალიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის განსაზღვრისათვის. სატრანსპორტო ერთეული შეიძლება გაიყიდოს, საწარმოს კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, იმავე საწარმოს მუშაკზე. სატრანსპორტო ერთეულის პრივატიზაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო მის ტერიტორიულ ორგანოებთან, აგრეთვე აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამის ორგანოებთან შექმნილი ავტოტრანსპორტის პრივატიზების კომისიების მეშვეობით.

ჯ. ლაშხი: გვაინტერესებს, რატომ იცვლება ასე ხშირად ფასები თბილისი-რუსთავის მარშრუტის ავტობუსებზე და დამოკიდებულია თუ არა ეს მძღოლზე?

მ. გურგენიძე: მგზავრთა გადაყვანაზე ტარიფების გაანგარიშების არსებული წესის შესაბამისად სამგზავრო ტარიფები დგინდება თვითღირებულების და მოგების შეჯამებით (20 პროცენტიანი ზღვრული რენტაბელობიდან გამომდინარე). ცხადია, საწვავ-საპოხ და სათადარიგო მასალებზე ფასების სწრაფი ზრდა აისახება მგზავრობის ღირებულებაზე და ეს არ არის დამოკიდებული მძღოლზე.

შ. ბურდული: ბატონო მინისტრო, მე მიმაჩნია, რომ ავტოსადგურები საჭირო არ არის. ისინი სხვა რამეში უნდა გამოვიყენოთ, წვიმასა და მზეში თავშესაფარებლად კი ფარდულები მოვაწყოთ.

მ. გურგენიძე: დღეს, ტრანსპორტის პრივატიზაციის პირობებში, როცა სახელმწიფო ტრანსპორტის პარალელურად მოძრაობენ სხვადასხვა უწყების, კერძო და კოოპერატიულ მფლობელობაში არსებული ავტობუსებიც, ავტოსადგური რჩება როგორც მგზავრთა მომსახურების და მთლიან სამარშრუტო ქსელში სატრანსპორტო პროცესების მარეგულირებელი სატრანსპორტო ერთეული. ამიტომ, დღესაც და მომავალშიც, სატრანსპორტო პროცესებიდან ავტოსადგურის იგნორირება მართებული არ იქნება.

შ. ლამბაშიძე: თერჯოლის რაიონის სოფელ წინწკალაში განლაგებულია რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო. აქ ავადმყოფების მონახულება თითქმის შეუძლებელია, რადგან არ მოძრაობს ავტობუსი, კერძო მანქანით მისვლა კი 8000 კუპონი ჯდება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს მდგომარეობა და დანიშნოთ საავტომობილო მარშრუტი „ზესტაფონი-თერჯოლა-ტყიბული".

მ. გურგენიძე: დღეს საწვავის დეფიციტი იმდენად მწვავეა, რომ არსებული სამარშრუტო ქსელი მინიმალურადაც კი ვერ კომპლექტდება საჭირო რაოდენობის მოძრავი შემადგენლობით. ამ მიზეზით მოქმედ მარშრუტებზე ვერ სრულდება რეისები, ხოლო თუ სრულდება, არასტაბილურად და დიდი შეფერხებებით. საწვავით უზრუნველყოფისთანავე აღდგება ავტობუსების მიმოსვლა ზემოაღნიშნულ მარშრუტზეც.

გ. ჯანაშვილი: ბევრ თბილისელს, რომლებსაც კახეთში მიწის ნაკვეთები გვაქვს, გვსურს ყოველი შაბათ-კვირა იქ გავატაროთ, ვიმუშაოთ და პროდუქცია შევქმნათ, მაგრამ ტრანსპორტი ამის საშუალებას არ გვაძლევს. ავტოსადგურებში ბილეთები არ იყიდება (ავტობუსები იქ არც კი შედიან) და მძღოლები თავიანთი ნიხრის მიხედვით 400-500 მანეთს გვახდევინებენ. ნუთუ არ შეიძლება ამ საქმეში წესრიგი დამყარდეს?

მ. გურგენიძე: მართალი ბრძანდებით, მეტრო „ისანთან" კახეთში მიმავალ სამარშრუტო ავტობუსებზე მგზავრებისთვის მეტად არასახარბიელო პირობებია შექმნილი. იმის გამო, რომ თბილისის ცენტრალური ავტოსადგური მოუდგომელ ადგილზეა აშენებული, მეტრო „ისანთან", სადაც ყოველნაირად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელია მგზავრების მისვლა, თავს იყრის კოოპერატიული, კერძო და სხვადასხვა უწყების ავტობუსები. კახეთში მიმავალი მგზავრები, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, თავს არიდებენ ცენტრალური ავტოსადგურით მომსახურებას და სარგებლობენ ზემოაღნიშნული ავტობუსებით, რომლებიც დღეს საკმაოდ მრავლად არიან და დიდ კონკურენციას უწევენ სახელმწიფო სამარშრუტო ავტობუსებს.

პრობლემის გადაჭრის მიზნით სათანადო ორგანოებში დასმულია საკითხი, რათა კახეთში მიმავალი ავტობუსებისთვის მეტრო „ისანთან" ან „სამგორთან" მოეწყოს შესაბამისი სიმძლავრის ავტოსადგური. რაც შეეხება მგზავრობის ღირებულებას, იგი განისაზღვრება ფასწარმოქმნის არსებული წესის შესაბამისად.

მ. თევდორაძე: გვაინტერესებს, აქვს თუ არა სასწრაფო დახმარების მედპერსონალს საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება?

ა. მერაბიშვილი: აღნიშნული საკითხი მეც მაინტერესებს. 45 წელი ვიმუშავე სატრანსპორტო საწარმოებში, ამჟამად ვარ პენსიონერი, მაქვს თუ არა უფლება საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ ვიმგზავრო?

მ. გურგენიძე: შეღავათიანი მგზავრობის ჩამონათვალს ადგენს შრომის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სასწრაფო დახმარების მედპერსონალზე და ტრანსპორტის დარგის შრომის ვეტერანებზე შეღავათები საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობისას არ ვრცელდება.

— ბატონო მიხეილ, რედაქციაში შემოვიდა თ. გრიგოლაშვილის რამდენიმე შეკითხვა.

— კეთილი, მზად ვარ ვუპასუხო.

თ. გრიგოლაშვილი: როცა არსებობდა საკავშირო გზათა მიმოსვლის სამინისტრო, მთავარ დარგობრივ სამმართველოებთან მოქმედებდნენ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები. რკინიგზის დეპარტამენტს სჭირდება თუ არა მსგავსი სტრუქტურები და თუ სჭირდება, რა კეთდება ამ მიმართულებით?

მ. გურგენიძე: ამ მიზნით საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსთან შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც სამინისტროსა და დარგების მეცნიერ-სპეციალისტების გარდა შეყვანილი არიან რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. საბჭოს მინიჭებული აქვს სათათბირო-სარეკომენდაციო უფლება. მისი რეკომენდაცია-გადაწყვეტილებები ძალაში შედის მინისტრის ბრძანებით. ამასთან, განზრახულია შეიქმნას საპროექტო-საწარმოო ერთეულები. ამ შემთხვევაში რკინიგზის დეპარტამენტი გამოვა დამკვეთის როლში, საწარმო კი შეასრულებს საპროექტო სამუშაოებს.

● **სამგზავრო ვაგონების გარკვეული ნაწილი საქარხნო შეკეთებისათვის იგზავნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. რა კეთდება იმისთვის, რომ ისინი შეკეთდეს ჩვენთან?**

— მართლაც ასეა, სამგზავრო ვაგონების ნაწილი სარემონტოდ საზღვარგარეთ იგზავნება. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენი ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო, კონდიცირებული და სხვა სახის ვაგონების შეკეთებას. მხოლოდ მისი მოდერნიზაციის შემდეგ გახდება შესაძლებელი ყველა ვაგონის ადგილზე შეკეთება. ამ მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანულ ფირმა „ამენდორფთან" ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად.

● **საქმის კურსში თუ ბრძანდებით, სადღეისოდ რამდენი სალი ორთქლმავალი აქვს რესპუბლიკას და განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია თუ არა მათი გამოყენება?**

— საქართველოს რკინიგზას აქვს ორთქლმავლების პარკი და აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გამოყენება. ამასთანავე ცნობილია, რომ ავტონომიური ლოკომოტივის ფუნქციას ორთქლმავალზე უკეთ ასრულებს თბომავალი, რომლებიც საქართველოს რკინიგზას საკმარისი რაოდენობით გააჩნია.

● **ყოფილ საბჭოთა კავშირში რკინიგზის ინსტიტუტები შედიოდნენ საკავშირო სამინისტროს შემადგენლობაში და როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს ჰქონდათ განსაზღვრული პრივილეგიები (უფასო რკინიგზის ბილეთი, ფორმა და ა. შ.). ხომ არ ფიქრობთ, რომ მსგავსი პრივილეგიების შემოღება მოიზიდავს სპეციალისტებს, გაუმჯობესდება მათი მომზადების ხარისხი?**

— დიახ, თუ გავითვალისწინებთ რკინიგზის სპეციალობის მუშაკთა მძიმე და განსაკუთრებით პასუხსაგებ შრომის პირობებს, ალბათ მიზანშეწონილია დაისვას საკითხი სარკინიგზო სპეციალობების ფაკულტეტზე შემსვლელთა და პროფესორ-მასწავლებელთათვის გარკვეული შეღავათების დაწესების შესახებ.

კორესპონდენტი: ბატონო მიხეილ, შეკითხვები ამოიწურა, კიდევ ხომ არაფრის თქმას ისურვებდით?

მ. გურგენიძე: მადლობა მინდა მოვახსენო გაზეთის რედაქციას, რომელმაც შესაძლებლობა მომცა გავცნობოდი და პასუხი გამეცა მკითხველთა უამრავ საინტერესო შეკითხვებზე. იმედს ვიტოვებ, რომ სამომავლოდ, რესპუბლიკაში ეკონომიკურ-სოციალური ვითარების თანდათანობითი სტაბილიზაციის კვალობაზე, ჩვენი შეხვედრები უფრო საქმიანი და იმედიანი იქნება.

ხმა ერის გასაგონად

ილიას აუცილებლად მოკლავდნენ...

ჩემი ღმერთი ზეცაშია, სად არის შენი ღმერთი? ვაი, რომ თვალი გაქვს და ვერ იხედავ, ყურები გაქვს და ვერაფერი გესმის....

რაო?! ხედავ? რას ხედავ?

ვაკის პარკში ცა გაიხსნაო და დავინახეო.. ვინ, ვინ დაინახე, შე ცოდვის შვილო, რით ვერ მიენდე უფალს? ჯოჯოხეთის სატანჯველში ხარ და ვერაფერი გიგრძვნია, ვინ დაგაბნია, ვინ გადაგრია ვის სახელს მოუხმობ ასე გაბოროტებით? ვთქვათ და გაიხარა იმ სიძულვილმა, რომელსაც სთესავ, ვთქვათ და მოიმკა შენმა ჯილაგმა, ჩვენმა ჯილაგმა, ერქმევა კი იმ მომავალს საქართველოს მომავალი? რა სიხარბით ისრუტავთ ბოროტების ქარებს, მაცთუნებელია განძი, რომელსაც გთავაზობენ, გაიგეთ, ბატონებო, დღემოკლეა სიცოცხლე ბოროტებისა, ბოროტეულის სიმდიდრე სისხლგამდინარე სიბნელეა...

არ შევქმნათ კერპები, ნუ ეთაყვანებით სხვას, რადგანაც მე ვარ თქვენი უფალიო, მე ვარ თქვენი ღმერთიო, წერია ბიბლიაში, მაგრამ თუ არ დამიჯერებთ და შეიძულებთ ჩემს სამართალს, მოვავლენ თქვენზე შურისმგებელ მახვილს, ჭირს შეგყრით და მტრის ხელში ჩაცვინდებითო. „როცა გადაგიწყვეტ პურის სახსარს, ათი დედაკაცი ერთ თონეში დაიწყებს თქვენი პურის ცხობას, წონით გამოგიგზავნიან თქვენს პურს, შეჭამთ და ვერ გაძღებით". (**ლევიანნი** თ. 26) ასეა, მაგრამ ვინ იცის, რომ ასეა, ვის ჩაუხედავს ამ დიად წიგნში? ცოტას, სამწუხაროდ ძალიან ცოტას...

ურწმუნოთაგან რომ ეშმაკი გამოვიდეს, ეშმაკისეული რომ ეშმაკმა დასტოვოს, ღმერთს უნდა მიუბრუნდეს, უფალი უნდა იწამოს და გადარჩება. კაცი, რომელსაც ხელი სახნისზე უდევს, უკან არ უნდა იყურებოდეს, ჯერ არაფერი დაბრუნებულა, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, იყო გუშინ არის დღეს და იქნება ხვალ. უფალმა შექმნა წარსული, აწმყო და მომავალი, ღმერთის სასუფეველი არ მოვა საჩვენებლად, ღმერთის სასუფეველი ჩვენშია და უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენშია იგი.

ვინ ეტყვის სიტყვას განთითოებულ ქართველობას, ვინ, ამოუვსებს ქართველ კაცს გულს დაცარიელებულს? ვინ აამაღლებს სიკვდილ მიმძლავრ დამდაბლებულს? სად დაიკარგა გონების თვალი, როდის დაგვიბრმავდა იგი? 1907 წლის 30 აგვისტოს, როცა საქართველო მოჰკლეს, თუ უფრო ადრე? უფრო ადრე, გაცილებით უფრო ადრე, ილია ხომ ადრეც იყო. და ადრეც მოჰკლეს, იგივე მკვლელებმა, ისინი საქართველოში ყოველთვის ერთად იყვნენ, მხოლოდ ახლაა სხვანაირად საქმე: ილია აღარაა, მკვლელები ცოცხლობენ, იგივე მკვლელები, იგივე ხელწერით, იგივე რწმენით, იგივე დაუნდობლობით. ილია კი 1871 წლის გადმოსახედიდან გვაფხიზლებს და „ბედნიერი" საქართველოს გამომსახველს:

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალახმული,
თავჯავრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
მქვადამქდარი გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

„ილია მოკლეს, ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოჰკლავდნენ", — წერდა ვაჟა-ფშაველა. მშვენივრად იცოდა დიდმა ვაჟამ, რომ ილიას მკვლელებმა საქართველო მოჰკლეს, მაგრამ მომავალი შეიცოდა...

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები", ეს აკაკი წერეთელმა ბრძანა ილიას ნეშტის წინაშე... „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია", მაგრამ თუ უწერია, მაშინ რა ვქნათ? რა ვქნათ და ისევ აკაკი წერეთლის „უბრალო საუბარი" გავიხსენოთ: „დღეს რომ ჩვენი ერი ზნეობრივად დაცემულია და სარწმუნოებაზედაც გაგულგრილებული, ეს მხოლოდ ახალი გარემოების ბრალია. ამ გარემოების გასწორება მხოლოდ ერთადერთს ერობას და ნაფიც მსაჯულების შემოღებას შეუძლია.

ასე იყო თურმე მაშინაც, ასე იყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი ამბობდნენ, ისინი ამხელდნენ, წერდნენ: „ყველა, ყრუი, ყველა ცრუიო", იმას კი არ მღეროდნენ: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო".

ნეტა კარგები როდის ვიყავით? „მეცამეტე საუკუნიდამ დაწყებული დღემდე ჩვენი ცხოვრება სულ ამგვარია, გადასული ადრინდელი „გვართა ბრძოლა" ჩვენში რა იყო, თუ არა პირუტყვული ბუღდრაობა? მის ნაცვლად ტვირთი ძმურად ეკისრათ და ყოველი შეთანხმებით გაეწიათ, ერთმანეთს წყალში აგდებდნენ და ქვეყანაც სეირს უყურებდა.

ვის დავუჯეროთ, ილიას, აკაკის, ვაჟას, თუ არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს? თუ იმ ბრიყვს სერიოზულად რომ ზემოთხსენებულ სიმღერას აღიღინებს, — „რაც კარგები ვართ ქართველები ვართო". „ოხოხოია", მრავალჟამიერ შენს არტისტობას ქართველო კაცო, ღმერთმა უფრო ნურასოდეს გაგვიჭირვოს, თორემ კაცის ხორცს შევჭამთ, ჩვენ ხომ გაჭირვებისათვის დაბადებულნი არა ვართ, ჩვენ ხომ დროსტარებისათვის დავიბადენით? ჩვენ მხოლოდ უნდა ვიქეიფოთ, ხოლო თუ გაგვიჭირდა, საკუთარ ძმას შვილი მოვტაცოთ და თურქეთის ბაზარზე გავყიდოთ, დედა უნაგირში გავცვალოთ, მტკაველი მიწისათვის ძმას თოფი ვესროლოთ...

ახლაც ასეა, ახლაც, ბატონებო, დაღუპულები ვართ, ნახეთ თურქეთის ბაზარი, იყიდება ყველაფერი, ჩასასახლიდან მოყოლებული ქართველი ქალის ნამუსამდე...

იტაცებენ ბავშვებს, აწამებენ, კლავენ და სისხლს სვამენ, ღმერთი არა სწამთ და ურჯულოთ შეეკრენ, არა ვთქვათ? პირში წყალი ჩავიგუბოთ?

მომრავლდნენ კერპთაყვანისმცემლები, წიგნებს წვავენ, ჩვენი — ჯანდაბას, დიდი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" დაწვეს ვერის პარკში, ხოლო ვაკის პარკში ცა გაიხსნა ერთ მშვენიერ დღეს და თავიანთი საყვარელი კერპი დაინახეს თეთრ ცხენზე შემჯდარი (ვაი, ჩვენს პატრონს!), დღეს რომ ბნელა, ისე არასოდეს, მაგრამ გონებაა დაბნელებული, მთა-ბარი კი არა, გულია ჩაბნელებული.

ილია ჭავჭავაძის ცხედართან თქმული სიტყვა (როცა საქართველოს ადარებდა) აკაკი წერეთელმა ასე ჩაამთავრა: „და თუ სასიკვდილოა (საქართველო), როგორც ჰსურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!

არც თავში მოგვეკლავს თავი, მაგრამ ეს ბოლო სამი-ოთხი წელია ხელი არ გაგვინძრევია, ჭამის მადა კი, გაგიხარია, მაგრამ გვქონია.

ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს, წყალს ღვინო ჰქვია, შხამს თაფლი, მილიციელი ლექსებს სწერს, პოეტი აჭერინებს, ჯარში სერჟანტი და ლეიტენანტი არაა, ყველა პოლკოვნიკი და გენერალია. ერთი ტყვიების სიმსაც გადახედეთ, ჩვენდა სამარცხვინოდ ქართველებს ვცვლით ქართველებზე, აქედან რომ ძაღლია მიჰყავთ, იქიდანაც ძაღლია მოჰყავთ. აქედან რომ ქათამაძე, მიჰყავთ, იქიდან სუდამიძე, ოღონდ, ერთს აფხაზი უწერია პასპორტში, მეორეს ქართველი. წერეთელი, ახვლედიანი და კაკალია აფხაზური მხარის არძინბას ყაჩაღთა შენაერთებს ხელმძღვანელობენ, აბა, ჩვენ, რუსი და აფხაზ-ჩეჩენი რას დაგვაკლებდა, რომ ქართველი არ გვესროდეს და არ გვანადგურებდეს?

აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მიცვალებულთა დღეს, ზუგდიდში ვიღაც ახალგაზრდა ქალმა გამოაცხადა: „მე დღეს, მიცვალებულთა დღეს, ჯანსუღ ჩარკვიანს ვგლოვობო". ჩემო კარგო, ჩემო შვილო თუ დაო, ჩემო სისხლო და ხორცო, მე მზადა ვარ აგისრულო ეგ ოცნება, ოღონდ იმ თავისმომჭრელ გროზნოელ პოლკოვნიკ ჭობალიას სთხოვე, ზუგდიდში საბაჟო მოშალოს და ჩემო სვანეთისკენ პურით დატვირთული მანქანები გაუშვას, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია, ხოლო ამ სირცხვილს შეიძლება უფრო სერიოზული დაძაბულობაც მოჰყვეს...

თედო სახოკია იგონებს ილია ჭავჭავაძის სიტყვას, რომელიც 1903 წელს წარმოსთქვა სოხუმში. ილიას გვერდით ეჯდა გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე ალათი დადიანის ასული, რომლის გასაგონად და, რა რაღა თქმა უნდა, სუფრასთან მჯდომ მაშინდელ რჩეულ ქართველთა გასაგონად, დიდმა ილიამ ბრძანა: „ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს...

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით". ბოლოს დიდმა ილიამ დასძინა: სინათლე საქართველოსთვის დასავლეთიდან მოდისო... რა ვქნა, როგორც არ უნდა მლანძღოთ და გამომიგლოვოთ, დღესაც ასე მინდა, რომ იყოს, სინათლე, სინათლე უნდა მოდიოდეს დასავლეთიდან და არა რამდენიმე ბრიყვის მიერ თავს მოხვეული წყვდიადი. ვინ ვინ და, ქართველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, სად უნდა შექმნას საბაჟო და სად უნდა გაავლოს საზღვარი, მე რომ ვქირისუფლებდე და ტაძარი გულთან მიმაქვს, მითუმეტეს იმ დიადი მხარისა, საიდანაც სინათლე უნდა მოდიოდეს (რომელსაც გამარჯვება მოჰყვება), [illegible] სხვანაირად იგება, ისე, როგორც სადღეისოდაა მისთვის საჭირო, ისე, როგორც დააბნევს ისედაც გზააბნეულ ხალხს....

აი, ახლა, როცა ჩვენ ყველაფერი ქინძზე გვკიდია (ქინძი კუპონზე აღარ იყიდება) და ყველაფერი სხვისი გვგონია, რაც პირადად ჩვენი საკუთრება არაა; მესამე სართულზე მცხოვრები კაცი ჯდება ლიფტში და სანამ სახლში შევა, პირდაპირ ლიფტში საქმობს, იცის, რომ კაცი არ ეტყვის, ის რა ჩაიდინეს... რა ლაპარაკია, გაიფიქრებს მავანი, რა და ფსიქოლოგიური მოთხოვნილების შედეგად შემდგარი ლაპარაკი გახლავთ... თუ არავინ გვიყურებს, შეგვიძლია ყველაფერი ვიკადროთ (არ მოგეწონათ არა?!) — ხომ დაგიბომბეს სოხუმი, ხომ გეტირათ დიდდაო, — მე დამიბომბეს და შენ არა? ვაი, ჩემთვის, თუ ჩემი ტკივილი შენი ტკივილი არაა....

რა ჩემობა და მისობა ამიტყდა? ვინ არიან ისინი? თითქოს ცოტანი, მაგრამ მაინც ბევრნი? გახსოვთ, ალბათ, ერთი მორუსული ქალბატონი ქართულზე მწყრალად იყო და რუსულად გაჰკიოდა: პრეზიდენტს ინტელიგენცია არ ჭირდება, პრეზიდენტი თვითონაა ყველაზე დიდი ინტელიგენტიო. მე იმ წუთში ჩემი დროის თბილისელების სახუმარო სიმღერა გამახსენდა: „ტრულაილას ფული რად უნდა, ტრულაილა თვითონ ფულია"...

ვინმეს სანუგეშოდ არაფერს ვიტყვი, სიბნელემ მოიცვა ჩვენი სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, რაო? ცოტანი არიანო? ცოტაა [illegible], ერთი ბეწოა ტყვია, ერთი წვეთია შხამი, ბოროტება საერთოდ ცოტაა, დიდია სიკეთე, „არყება მისი გრძელია", მაგრამ ერთობა ბოროტებაში მეტია, სიკეთე ვერასოდეს ვერ იკადრებს, რასაც ბოროტება კადრულობს, სიკეთე მაცხოვარისაა, ბოროტება ეშმაკისა... გახსოვთ ალბათ, მთავრობის სასახლის წინ, ქალებს ხელს აწერინებდნენ სხვათა შვილების დასაჭერად...

აჰა, ისევ ავიმხედრე ეშმაკისეული, ისევ გავეხვიე მღვრიე ტალღებში, მაგრამ რა ვქნა, სხვა ცხოვრებით არ მიცხოვრია, არც ვინმესთვის დამირეკავს სახლში და არ მილანძღია, არც გინების წერილი გამიგზავნია ვინმესთვის, ტყუილ-უბრალოდ არც ვინმესთვის დამიბრალებია უკადრებელი. ქუჩაში რომ ქალები იფურთხებიან, მე ისინი სულაც არ მეცოდებიან, იმათ ქმრებზე კი ჩემეული წარმოდგენა მაქვს, ყველაფერი იმ საცოდავების ბრალია, მე მჯერა, რომ ის ქალები წვრთნას თავიანთ მეუღლეებზე გადიან, იმათზე ვარჯიშობენ, იმათ ულვაშებზე, იმათ სიფათებზე, თუ კარგად გამოუდეთ, მერე ჩვენ დაგვხვდებიან ქუჩაში და ჩვენ გვაფურთხებენ...

ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ შინაგანი ცენზურა მებრძვის, კმარაო, მეუბნება, კი, ბატონო, ასე იყოს, მაგრამ ბოლოს მაინც იმას გავიხსენებ, რაც თავში ვთქვი: ჩემი ღმერთი ზეცაშია, სად არის შენი ღმერთი? რომ თვალი გაქვს და ვერ იხედავ, ყურები გაქვს და ვერაფერი გესმის...

ვიღაცა მეტყვის, მაშ, არ ვყოფილვართო?

კი, ვყოფილვართ, როგორ არ ვყოფილვართ, საქართველოს ჰყავდა დავით აღმაშენებელი, მაგრამ მაშინაც თურმე „მეფე იქმნა რა დავით მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ცხენთა სადმე არა სადა იყო კაცი სოფლისა შინა, არცარა შენებულობა". თექვსმეტი წლისამ დაიდგა გვირგვინი მეფობისა და 52 წლის ვალმოხდილი მიებარა გელათის წმინდა მიწას.

დავითის დროს მშვიდობადაკარგული დროა საქართველოში, დავითის მეფობის წინა პერიოდს ასე აღწერს მემატიანე: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მის შინა, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჩჩვილნი დატყვევებულ, ხოლო ჩვილნი მიმოტაცებულ" (არ გიკვირთ, არა?!).

ამ დიდი გაჭირვების დროს, ამპარტავანი, მაგრამ შეშინებული ფეოდალები მტრებთან ალიანსს არ ერიდებოდნენ, მოგვეხსენებათ, რაც შოაქეს სისუსტისა და ლოიალობის, რამდენიც დაუთმეს და თავზე ხელი გადაუსვეს, იმდენი გათამამდნენ, ეკლესიაც ფეოდალებს მიემხრო. უზნეოთა ამბიციებმა იმარჯვეს და ღირსეულ მამულიშვილებს გზა ჩაუკეტეს, ძაღლი პატრონს ვერა ცნობდა, ერისთავები მტრებთან ძმობდნენ, არ იყო ჯარი, ჯარიც შესაქმნელი იყო.

მოკლედ, ისტორია მეორდება და ყველაფერი იყო ისე, როგორც დღეს არის; მაგრამ თავად ჭკვიანმა და რაინდმა მორწმუნემ და ზნეკეთილმა ახალგაზრდა დავითმა მონახა დიდი მასწავლებელი, „სავსე სიბრძნითა და გონიერებითა" გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც დავით აღმაშენებელზე შემდგომში წერდა: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა... სვიანი და ფრთხილი".

ჯარის შექმნით დაიწყო დავით აღმაშენებელმა დანგრეული საქართველოს მშენებლობა, მაგრამ ამავე დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ორგულ ფეოდალებს, დარწმუნდა, რომ ერთხელ ღალატის ჩამდენი არასოდეს გამოსწორდებოდა.

არის ერთი ძვირფასი წიგნი, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები", მოთხრობილი ვახტანგ ჭილაიძის მიერ. ამ წიგნში ყველაფერი ისეა გაშიფრული და წარმოდგენილი, როგორც ჩვენს ისტორიას შეშვენის, იქ ბაღვაშის გამო სწერია: კლდეკარის ერისთავმა ბაღვაშ ლიპარიტმა მეფეს უღალატა, მეფემ გაუგო და დასჯა მოუნდომა, ბაღვაშ ლიპარიტმა სთხოვა, ერთხელ მაპატიე და მარად შენი ერთგული ვიქნებიო, დაუჯერა დავითმა, მაგრამ მოღალატემ თავის ბუნებას მაინც ვერ უღალატა და „ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა, და ვითარცა ღორი იბანება სამღვრელსა მწვირისასა", ძაღლივით თავისივე ამონთხეულს დაუწყო ლოკვა და ღორივით წუმპეში დაიწყო გორვაო: ამჯერად ორი წელი ჰყავდა დავითს მოღალატე საპყრობილეში, მერე კი გამოიყვანა, სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ აღარც სამშობლოში გააჩერაო. დიახ, ასე სწერია ბატონ ვახტანგ ჭილაიძის წიგნში ბაღვაშ ლიპარიტის გამო....

ახლა გულზე ხელი დავიდოთ, რამდენი ბაღვაშ ლიპარიტია დღეს საქართველოში. რამდენი ზნედაცემული და მოღალატე, რომელიც ცხინვალიდან გამოუშვებს და პირდაპირ გროზნის მიაშურებს? რამდენი აფეთქებს და წვავს, ანგრევს და აჩანაგებს იმას, რაც საუკუნეების მანძილზე შექმნილა? მერე და რისთვის? არაფრისათვის, პატივმოყვარეობის გამო, [illegible] გამო, განა არ არის დავით მეფე საჭირო, რომ არ ეპატიოთ ასეთ გარეწრებს? დავით აღმაშენებელი გარეწრებს არ პატიობდა!

ყიფჩაღთა გამქრისტიანებულმა მეფემ შექმნა ჯარი 60000-იანი, რომლის ბადალი მანამ არავის სცოდნია, აქედან 20.000 ქართველი იყო, თავისიც ჰყავდა, —ანუ, ხუთი ათასი პირადად მეფისა.

შიშის ზარს სცემდა დავით აღმაშენებელი შინაურებს და გარეულ მტრებს, დიდგორის „ძლევაი საკვირველის" სულისჩამდგმელი, ქართველთა სულის გამაერთიანებელი მეფეა, მეფე, რომელსაც მადლიერმა ხალხმა აღმაშენებელი უწოდა.

1861 წელს, იანვრის ოცდარვაში, პეტერბურგში ილია ჭავჭავაძემ დაწერა ლექსი „გაზაფხული", იგი ასე მთავრდება:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები.

ეს ლექსი ყველა დროისაა და ახლაც ისე ჟღერს, როგორც მაშინ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადრიულ საუკუნეებშიც ამბობდნენ ამ ლექსს, ილია ჭავჭავაძე ხომ ყველა დროისა იყო...

დღეს, ილიას მკვლელები არიან, მაგრამ არ არის ილია ჭავჭავაძე, ილია რომ გვყავდეს, საქართველოს ბედს ბევრი ინატრებდა. რატომ? იმიტომ, რომ ილიას აუცილებლად მოჰკლავდნენ, ხოლო საქართველო, შეშინებული და შემკრთალი საქართველო, გამთლიანდებოდა, ერთ მუშტად შეიკვრებოდა.

დღეს კი, ვინც რა უნდა თქვას, მე მაინც ამ აზრისა ვარ: როგორც გზა აღთქმული ქვეყნისაკენ უდაბნოზე გადის, გზა საქართველოს გადარჩენისა გადის დავით აღმაშენებელზე, ვიღაცეებს, უნდათ თუ არა, ეს შედარება ჭეშმარიტებაა!

მადლობა უფალს, არიან ბიჭები, რომლებიც ქართულ ლაშქარს სულში სინათლედ ჩაუდგებიან! ღმერთო, ამრავლე ამნაირი ქართველები!

ჯანსუღ ჩარკვიანი.

1993 წ. 28 ივნისი.

სარედაქციო ფოსტიდან

ეს ყოვლად გაუმართლებელი იქნება!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა განცხადება

ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში თუ მის გარშემო მიმდინარე პროცესებს და საკუთარ შეფასებას აძლევს საქართველოს ხელმძღვანელობის უმაღლესი დონის წარმომადგენლებისადმი ზოგიერთი ჩვენი თუ არაჩვენი პოზიტიური თუ დესტრუქციული წარმომადგენლის ქმედებას. მათ შორის განსაკუთრებული ოდიოზურობით, არარეალური მიდგომებითა და შეფასებებით გამოირჩევა საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი წერეთელი. ამაზრზენი და გულისამრევია მისი უადგილო განცხადებებიც და ქმედებანიც.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქმიანობის შეფასება, მისი სახელმწიფოს მეთაურად ყოფნა-არყოფნის საკითხის დასმა და გადაწყვეტა ქართველი ხალხის უმრავლესობის საქმეა და არა ვიღაც მუდმივი ოპოზიციონერისა, რომელსაც მარტივი იურიდიული ნორმებიც კი ვერ აუთვისებია და პარტიის ლიდერობას იჩემებს, თავს ნებას აძლევს ჭკუა გვასწავლოს და გვემუქრება კიდეც, რომ მიტინგებით წალეკავს საქართველოს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ის, ვინც დღეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს, ან ახლომხედველი და აზროვნების უნარს მოკლებულია ან (თუ ამას შეგნებულად აკეთებს) ქართველი ხალხის მტერი.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენის გამოყენებაზე უარის თქმა დღევანდელი და უახლოესი მომავალი საქართველოსათვის ყოვლად გაუმართლებელი უგუნურება იქნება, რაც იმით დამთავრდება, რომ ცივილიზებული მსოფლიო ზურგს შეაქცევს ქართველობას როგორც პოლიტიკურად მოუმწიფებელ ერს, დაიწყება ჩვენი სამშობლოს სომალიზაცია უდანაშაულო ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლით.

ჩვენი დიდი სურვილია, შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თანამდგომებმა, რომელთა რიცხვს ჩვენს კოლექტივსაც ვაკუთვნებთ, მთელი ძალისხმევა მოახმარონ საქართველოს წინაშე მდგარი უმძიმესი პრობლემების გადაწყვეტას და არა ირაკლი წერეთლის მსგავს პოლიტიკოსებთან კამათს.

ბოლოს და ბოლოს საქართველოს პარლამენტს იმის ძალა მაინც უნდა აღმოაჩნდეს, რომ თავის ადგილას დასვას ამგვარი თავაწყვეტილი პოლიტიკოსები.

განცხადების ტექსტი მიღებულია ინსტიტუტის კოლექტივის საერთო კრებაზე 1993 წლის 24 ივნისს.

უმადურობას ღმერთი არ გვაპატიებს

გაზეთ „იბერია სპექტრის" № 81-ში გამოქვეყნდა უსინათლოთა ერთი ჯგუფის წერილი საქართველოს მეთაურის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ხუთი ათას წევრს ითვლის. ჩვენი აზრით, ადამიანთა ერთ ჯგუფს არავითარი უფლება არ აქვს დააყენოს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი უსინათლოთა სახელით. ამის გარდა, უსინათლოებს არ უნდა დაგვავიწყდეს ის ზრუნვა, რომელსაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე პირადად იჩენდა და დღესაც იჩენს საერთოდ ინვალიდთა და კერძოდ უსინათლოთა მიმართ.

უმადურობას ღმერთი არ გვაპატიებს.

უსინათლოები: ქ. გელოვანი, თ. სითათაშვილი, მ. ნატროშვილი და სხვები. სულ 84 ხელმოწერა.

სამწუხაროდ ეს პირველი შემთხვევა არ არის

ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილებისა და სამაჩაბლოს სოფლების მოსახლეობის მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. დღევანდელი ხელისუფლება ყველა ღონეს რომ ხმარობს რეგიონში საქართველოს იურისდიქციის დასამყარებლად, მაგრამ მშობლიურ კუთხეში დაბრუნების იმედი არ გადაწურულა. ამის თაობაზე მივმართავთ საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

გვსურს გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" 1993 წლის 10 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილის გამო — „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლს საქართველოში" გამოვთქვათ ჩვენი უკმაყოფილება.

ფაქტობრივად ჩვენს (ლტოლვილების და არა დახურულ ზონაში მცხოვრებთა) მიმართვაში საკითხი დაყენებული იყო ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ფაქტების კონსტანტაციით, ხოლო საქართველოს ხელისუფლებისა და ახლანდელი მთავრობის საქმიანობის შეფასებისადმი მიძღვნილი გაზეთში გამოქვეყნებული ორი სვეტი ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენ გვაინტერესებს საქართველო იყოს ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა და ასეთი საქართველოსათვის ბრძოლაში გავყვებით ნებისმიერ ხელმძღვანელს, რომელიც გაატარებს გონივრულ ეროვნულ პოლიტიკას.

სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენი კუთხის ისედაც ხვედგამწარებულ ხალხს მავანი პოლიტიკოსები საკუთარი ამბიციების გამოსახატავად იყენებენ. გულსატკენია, რომ გაზეთმა „საქართველოს სამრეკლომ" ასეთი პოზიცია დაიკავა.

გივი ჭამბურიძე,
ვაჟა ვახტანგაშვილი,
გურამ წერეთელი,
ენრიკო კვალინიძე,
ზურაბ ნადირაძე.

დღეს, როცა ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა განცხადება

რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებმა: პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ საზოგადოებრიობას ამცნეს პარლამენტის შენობის წინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრის გამგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მარინე ფირცხალავას მიერ მოწყობილი აქციის შესახებ.

1992 წლის ოქტომბრიდან ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრის თანამშრომლებს შორის შექმნილია კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. სისტემატურად გრძელდებოდა კონფლიქტში სტუდენტთა ჩათრევის ცდები.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატმა ყველა შესაძლო ზომა მიიღო მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის: შეიქმნა საუნივერსიტეტო კომისია. აღნიშნული საკითხი შესწავლილია სამთავრობო კომისიის, ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის და სამართალდამცველი ორგანოების მიერ.

ზემოაღნიშნულმა კომისიებმა საჭიროდ ჩათვალეს საკითხის საუნივერსიტეტო საბჭოზე განხილვა და სათანადო რეკომენდაციები წარუდგინეს სამეცნიერო საბჭოს.

საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭომ გაითვალისწინა უნივერსიტეტის ცენტრალური მეთოდიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი სასწავლო პროგრამის უპირატესობა სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით და კათედრაზე შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა, რის გამოც ერთხმად დაადგინა — ჩატარდეს კათედრის რეორგანიზაცია და ყველა საშტატო ერთეული ჩაითვალოს ვაკანტურად. დაევალა რექტორატს ღია კონკურსი გამოაცხადოს ყველა საშტატო ერთეულზე.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის წევრები, პროფესორ-მასწავლებლები თვლიან, რომ დღეს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა საომარ მდგომარეობაშია, ხალხი განიცდის უკიდურეს სიდუხჭირეს, შიმშილობისა და მიტინგების ყოველგვარი ფორმა დასაგმობი და მიუღებელია, მით უმეტეს, როდესაც ასეთი ფორმა გამოიყენება მეცნიერებათა დოქტორის მიერ, რომელსაც გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობით შეუძლია კვლავ არჩეული ყოფილიყო კათედრის გამგის თანამდებობაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები: პროფესორები: გ. გურგენიძე, ო. ჯალაშბერიძე, გ. ტატიშვილი, ზ. კაციტაძე, დ. ტვილდიანი, ვ. დუმბაძე, ო. გოგიბერიძე, დ. ბებეშიძე, დ. საყვარელიძე, მ. ჩიჯავაძე, გ. კვანჭახაძე, რ. მახარაძე, რ. კუტუბიძე, დოცენტები: ა. კეკელიძე, ბ. კილასონია, ჯ. ვადაჭკორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიცისტის ჩანაწერები

კანტი იცნობდა საქართველოს...

კანტზე უფრო კოლორიტული ფიგურა იშვიათია მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში. მე ერთხელ ვიყავი კენიგსბერგში, ვიდექი კანტის აკლდამასთან. აკლდამაც იქვეა, სადაც მისი აკვანი დაირწა.

ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ. იმ წელს ქართულ საოკეანო ფლოტს ახალი ტრაულერი შეემატა. გერმანიაში აგებული გემი „შოთა რუსთაველი" კალინინგრადში, კანტის მშობლიურ ქალაქ კენიგსბერგში იდგა.

ერთი ქართული გაზეთის რედაქციამ იქ მიმავლინა რეპორტაჟის დასაწერად.

გზაში ვფიქრობდი კენიგსბერგზე, პრუსიაზე, ბალტიისპირეთზე, კანტზე...

ქართველისათვის ისტორია იმავე როლს თამაშობს, რასაც ფილოსოფია გერმანელისათვის.

მდიდარია კენიგსბერგის ისტორია, მაგრამ კანტის დაბადებაზე დიდი მოვლენა ამ ქალაქში არ მომხდარა.

თვითმფრინავიდან დავცქეროდი მიწას... აქ, სადღაც ტილზიტში, ნაპოლეონიც ყოფილა. მაგრამ, აბა, სად კანტი და სად ნაპოლეონი?! ნებისმიერი დიდი ფილოსოფოსი ხუთი თავით აღემატება ნებისმიერ დიდ იმპერატორს.

ერთი ფილოსოფიური აღმოჩენა ირანის შაჰის ტახტს მირჩევნია, — ამბობდა ერთი დიდი ფილოსოფოსი.

გენიოსი, რომელმაც ამ პატარა ქალაქში მოახდინა ანტიკური ეპოქის შემდეგ ყველაზე დიდი ფილოსოფიური რევოლუცია — იმანუელ კანტი აქ მარხია, პრეგელის ახლოს, ძველ კენიგსბერგში.

იმანუელ კანტი — გერმანულად, ლამაზად, მოკლედ და უბრალოდ აწერია საფლავის ქვაზე.

„აქ ყოველდღე უნდა ჟღერდეს მოცარტისა და ვერდის „რექვიემი" — გავიფიქრე, როცა კანტის აკლდამას მივუახლოვდი. პასუხად ბალტიის ზღვის ქარმა ამოწვა თმა. არც მოცარტი, არც ვერდი, არც ბეთჰოვენი... ამაოების ქარი დაჰქროდა კენიგსბერგის ნანგრევებზე.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ლონდონი მახსენდება, წარწერა ნიუტონის აკლდამაზე: რაც წარმავალი იყო ნიუტონში, აქ მარხია, რაც უკვდავი — ცოცხლობს... იგივე ითქმის კანტზე. რაც წარმავალი იყო მასში, აქ განისვენებს, რაც უკვდავი — ყველა ჩვენგანში ცოცხლობს...

ყველა ჩვენგანში მე იმათ ვგულისხმობ, ვისაც ფილოსოფია უყვარს, თორემ მავანნი და მაგანნი უფილოსოფიოდაც ფილოსოფოსებზე უკეთ გრძნობენ თავს.

კანტის ფილოსოფიაში ბევრი რამ გადასინჯა ულმობელმა დრომ, მაგრამ „წმინდა გონების კრიტიკის" ავტორი ისევე უკვდავია, როგორც კაცობრიობის გონება, და სანამ გონება არსებობს — იარსებებს კანტის „წმინდა გონების კრიტიკა".

ვათვალიერებ ძველ კენიგსბერგს. ქალაქი მაგონებს პალიმფსესტს, ძველი ტექსტი ბოლომდე ვერ წაუშლიათ, ახალი კი ცუდად წაუწერიათ.

...კენიგსბერგის სავაჭრო ბირჟის და სამეფო პალატების ნანგრევების დათვალიერების შემდეგ ის ადგილიც ვნახე, სადაც კენიგსბერგის ცნობილი უნივერსიტეტი იდგა...

აქ ასწავლიდა იტალიის, ბერლინისა და სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სამეზის აკადემიკოსი იმანუელ კანტი. ის ერთ დროს ამ უნივერსიტეტის რექტორიც იყო.

იმანუელი თარგმანში ნიშნავს: „ღმერთი ჩვენთან არის". ღმერთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ დროინდელი ფილოსოფია კი მართლაც მასთან და მასში იყო, კანტთან იყო. ხოლო კანტი დღესაც ჩვენთან არის, ყველა კეთილი ნების ადამიანთან.

დავყურებ კენიგსბერგის ნანგრევებს და ვფიქრობ...

ფილოსოფიური ბურუსის მიღმა საოცრად ნათელი აზრები იბადება.

კანტის ტრაქტატი მარადიული მშვიდობის შესახებ გულისხმობს დედამიწაზე ომების შეწყვეტას საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, ან მარადიულ მშვიდობას გამანადგურებელი ომის შემდეგ „კაცობრიობის გიგანტურ სასაფლაოზე".

ან ხელშეკრულება, ან საფლავის ქვა.

სხვა ალტერნატივა არ არსებობს, — ამბობს კანტი.

კანტი ხან ირონიულად, ხან სერიოზულად აყალიბებს თავის ფილოსოფიურ მაქსიმებს და სამართლებრივ ნორმებს მარადიული მშვიდობის შესახებ.

— არც ერთი ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს სამშვიდობო ხელშეკრულებად, თუ მისი ხელმოწერის დროს შენარჩუნებულია ახალი ომის გაჩაღების ფარული შესაძლებლობა, — ამბობს კანტი.

— არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეიძლება შეიერთოს მეორე სახელმწიფომ, დიდი იქნება ის თუ მცირე, — მემკვიდრეობის, გაცვლის, გაყიდვის ან გაჩუქების გზით.

— რეგულარული ჯარი თანდათანობით მთლიანად უნდა გაქრეს.

— სახელმწიფო ვალი არ უნდა იქნეს გამოყენებული საგარეო პოლიტიკური ბრძოლის მიზნებისათვის.

— არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ძალის გამოყენებით ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს მოწყობასა და მართვა-გამგებლობაში.

— არც ერთმა სახელმწიფომ ომის დროს არ უნდა მიმართოს ისეთ მტრულ მოქმედებებს (მკვლელების შეგზავნა, ზავის, კაპიტულაციის პირობების დარღვევა, ღალატისკენ წაქეზება და ა. შ.), რაც შეუძლებელს გახდის მშვიდობის დროს ურთიერთნდობას.

ვკითხულობ კანტის ტომს და გგონია, რომ დღეს დაწერა ეს სტრიქონები... ფილოსოფოსის ასეთ კონცეფციათა გამო დაარსდა კანტის პრემია.

კანტს მიაჩნია, რომ სამოქალაქო მოწყობა ყველა ქვეყანაში უნდა იყოს რესპუბლიკური.

რესპუბლიკა, კანტის აზრით, არა მარტო მონარქის უარყოფას გულისხმობს, არამედ მართლწესრიგს, საჯაროობას, ძალაუფლების დაყოფას და ა. შ. სახელმწიფო მოწყობის გარკვეულ წესს.

კანტს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ფრიდრიხ II რესპუბლიკურად მართავდა გერმანიას, მაგრამ კანტის „რესპუბლიკური აზრები" პროგრესულია.

კანტი მოითხოვს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოთა ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მსგავსად იქნება ჩამოყალიბებული.

ამავე დროს ეს კავშირი, „კანტის ფედერალიზმი" არ უნდა იყოს მსოფლიო სახელმწიფო, ამ კავშირში ყველა დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს თავისი სუვერენიტეტი უნდა გააჩნდეს.

კანტს მიაჩნია, რომ „მსოფლიოს მოქალაქეს" სხვა ქვეყანაში სტუმართმოყვრული მიღების უფლება აქვს. მას არავინ არ უნდა დაესხას თავს, არავინ არ უნდა ჩაიდინოს მის მიმართ მტრული გამოხდომა.

და, მიუხედავად ამისა, კანტს არ უსარგებლია ამ უფლებით, არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში არ უმოგზაურია. ნაბიჯი არ გაუდგამს კენიგსბერგს იქით.

ყოველ ხალხს, — ამბობს კანტი, — უფლება აქვს ეკუთვნოდეს ის ტერიტორია, რომელზეც ის ცხოვრობს. კანტი დაპყრობის, აგრესიის, კოლონიალიზმის წინააღმდეგია.

ნეტა, ბატონ ელცინს წაუკითხოს ვინმემ ეს სტრიქონები. ჩვენი თუ არ სჯერა, იქნებ კანტს მაინც დაუჯეროს.

ისტორიული აუცილებლობა და არა კეთილი მეფის ნება აღმოფხვრის ომს, როგორც ხალხებს შორის ურთიერთობის ფორმას და მეთოდს, — ამბობს კანტი.

კანტმა დაასაბუთა დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობის დამყარების აუცილებლობისა და გარდუვალობის იდეა. ეს კანტის ისტორიული იდეაა.

კანტი ხან ირონიულად, ხან სერიოზულად შენიშნავს: ნუ ველოდებით იმას, რომ მეფეები გაფილოსოფოსდებიან ან ფილოსოფოსები გამეფდებიან. ეს არც უნდა გვსურდეს, რადგანაც ხელისუფლება უსათუოდ აუკუღმართებს გონების თავისუფალ განსჯას.

კანტის ამ მსჯელობაში გარკვეული თვალსაზრისით პლატონის „სახელმწიფოს" ქვეტექსტი იკითხება.

ფილოსოფოსები კი არ უნდა გავამეფოთ, — ამბობს კანტი — არამედ საჯაროდ გამოვიყვანოთ, რომ თავიანთი იდეები უქადაგონ ხალხს.

ჰაინრიხ ჰაინემ კანტის სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს საფრანგეთის რევოლუციის გერმანული თეორია უწოდა. ეს იდეები კანტმა 1795 წელს გამოაქვეყნა, იმ წელს, კრწანისში ერეკლე II რომ ებრძოდა აღა-მაჰმად-ხანს. და მაინც რა თანამედროვედ ჟღერს თითოეული მათგანი.

მეტად საინტერესოა კანტის ირონიული კათეხიზმო „პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისათვის".

აქ კანტი თითქმის ხარხარებს.

— ხელიდან არ გაუშვა მეზობელი ან სხვა სახელმწიფოს დაპყრობის შემთხვევა, — „ურჩევს" ის მონარქებს. ანექსიის გამართლება, ან ძალის გამოყენების მიჩქმალვა გაცილებით იოლია დაპყრობის შემდეგ...

ეს თითქმის მაკიაველიზმია. და მაინც კანტი ამბობს ამას.

კარგი იქნებოდა კანტის ეს პოსტულატიც ხშირად წაუკითხონ ბატონ ელცინს ძილის წინ.

— ყოველთვის უარყავი შენ მიერ ჩადენილი დანაშაული, მიიყვანე ხალხი სასოწარკვეთამდე და აჯანყებამდე, ხოლო შემდეგ ხალხსვე დააბრალე შენ მიერ ჩადენილი დანაშაული და გაუსწორდი მას.

— გათიშე და იბატონე, ჯერ ერთმანეთს გადაჰკიდე პრივილეგირებული ფენები, შენი კარისკაცები და მერე მიუსიე ისინი ხალხს, დაუპირისპირე ერთმანეთს. შენ კი მათზეც იბატონე და ხალხზეც.

ასეთია კანტის „მაკიაველიზმი". კანტი ირონიით ურჩევს ამას მონარქებს. თან დასძენს: ეს ყველამ იცის, მთავარია არა ამის მხილება, არამედ ამ ნიადაგზე უზნეო პოლიტიკოსთა დამარცხება.

კანტი ამბობს, რომ ეს არის ამორალიზმი პოლიტიკაში და სვამს კითხვას: შესაძლებელია თუ არა საერთოდ პოლიტიკისა და მორალის შეთავსება.

— შეიძლება, — პასუხობს კანტი, — ოღონდ სამართლის საფუძველზე. სამართალი აქცევს პოლიტიკას მორალურ ღირებულებად.

ვკითხულობ ამ სტრიქონებს კანტის საფლავთან. კანტი მკვდარია, მაგრამ ეს იდეები ცოცხლობენ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ იმანუელ კანტმა შექმნა მარადიული მშვიდობის ფილოსოფია, ტრაქტატი მარადიული მშვიდობის აუცილებლობაზე.

კანტს ფილოსოფიური ზეთისხილის რტო უჭირავს ხელში.

კანტისთვის მარადიული მშვიდობის შესახებ მოძღვრება უტოპიური თეორია როდი იყო.

იმანუელ კანტი თვლიდა, რომ მარადიული მშვიდობის დასაცავად აუცილებელია, ჯერ ერთი, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება და, მეორე, მსოფლიოს ქვეყნებს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება, ნაყოფიერი თანამშრომლობა.

ამ თვალსაზრისით კანტი ჩვენი თანამედროვეა. დღევანდელი მსოფლიო სწორედ ამ ფორმულით ცხოვრობს: მშვიდობა — ვაჭრობა — ეკონომიკა — თანამშრომლობა.

იმანუელ კანტის ამ და სხვა იდეების ხორცშესხმაში მოპოვებული წარმატებებისათვის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მიენიჭა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის სახელობის პრემია ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

კანტის ფილოსოფიაში ქართველს უსათუოდ მოეწონება პოეზიის გამოცხადება ხელოვნების უპირველესად, უწყინარს დარგად, რადგანაც ერთი აღმოსავლური სენტენციის თანახმად ყველა ქართველი პოეტია, ხოლო ქართველის სული ბუნებაზე ერთი რეგისტრით მაღლა მღერის...

კანტი იმ ფილოსოფიის მამამთავარია, რომელიც შემდეგ მარქსიზმის ერთ-ერთ წყაროდ იქცა, მაგრამ ეს სულაც არ არის კანტის ბრალი, ისევე როგორც ნიცშეს ვერ მოვთხოვთ პასუხს ფაშისტების მიერ მისი ფილოსოფიის გამოყენების გამო. ფილოსოფიურ იდეებს ფილოსოფოსის ბიოგრაფიისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების ისტორია აქვთ.

კენიგსბერგში მიამბეს, რომ კანტი ამ უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ასწავლიდა ლოგიკას, მეტაფიზიკას, ბუნებისმეტყველებას, მათემატიკას, ფიზიკურ გეოგრაფიას, ეთიკას და მექანიკას. კანტის დროსაც ჭირდა ლექტორის სრულიად დასაქმება. ამიტომ კანტს ფიზიკური გეოგრაფიის კურსიც მისცეს წასაკითხად, რადგანაც წმინდა ფილოსოფიური დისციპლინებით მისი დატვირთვა ვერ მოხერხდა.

მე ამჯერად კანტის მიერ კენიგსბერგის უნივერსიტეტში ფიზიკურ გეოგრაფიაში წაკითხულ ლექციებს მინდა გაკვრით შევეხო, რადგანაც სწორედ ამ ლექციებში გამოთქვა მან ჩვენთვის მეტად საინტერესო, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს ქართულ სამყაროში თითქმის უცნობი, თითქმის დავიწყებული ფიგურალური გამოთქმა — „საქართველო მზეთუნახავების ორანჟერეია არისო".

ცნობილია, რომ კანტი არასოდეს ყოფილა საქართველოში და არც არსად სხვაგან, თვინიერ მშობლიური კენიგსბერგისა და მისი შემოგარენისა. კანტი ხუთიოდე წელი იყო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი — 1758 წლის იანვრიდან 1762 წლის ივლისამდე. ეს ის დროა, როცა რუსეთის იმპერიის ჯარებმა აიღეს კენიგსბერგი, იქ, კენიგსბერგში გაიცნო კანტმა მეტად სუსტი პოეტი, მაგრამ გენიალური მხედართმთავარი, გენერალისიმუსი სუვოროვი, რომელიც იმჟამად მართავდა რუსების მიერ დაპყრობილ კენიგსბერგს. მაგრამ ეს სხვა თემაა. დავუბრუნდეთ ისევ კანტის ლექციებს ფიზიკურ გეოგრაფიაში.

კანტი ჩიოდა: კათედრაზე, როგორც სამჭედლოში, მძიმე უროთი ვჭედ ჩემს ლექციებს, რომლებიც ერთმანეთს ტყუპის ცალებივით ჰგვანანო. ასე კრიტიკულად უყურებდა კანტი თავის ლექციებს. „წმინდა გონების კრიტიკის" ავტორს საკუთარი ბრწყინვალე ლექციების გაკრიტიკებაც არ უჭირდა. ეს იყო დიდი სიკეთე. უბედურება ის არის, როცა უნიჭო ლექტორი თავისი სუსტი და ტრაფარეტული ლექციებით აპირებს გაკანტებას.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საუბრის გაგრძელება

რატომ ამბობს უარს ბ-ნი ბორის ლომსაძე აკადემიის არჩევნებში მონაწილეობაზე?

მიმდინარე წლის 14-18 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის ნამდვილი წევრების მორიგი არჩევნები. ხოლო ორიოდე დღით ადრე, 12 ივნისს „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის გამგის, პარლამენტის წევრის პროფესორ ბორის ლომსაძის განცხადება — „უარს ვამბობ აკადემიის არჩევნებში მონაწილეობაზე".

განცხადება თუ სენსაციური არა, ყოველ შემთხვევაში, არაორდინარულია და, ალბათ, არ დარჩა მკითხველის ყურადღების მიღმა. ბუნებრივად ისმის კითხვა — რა უნდა ყოფილიყო ამ განცხადების მიზეზი? ავტორი თავიდანვე გვამცნობს ამ მიზეზს: „მეცნიერებათა აკადემია ძველებურ ყაიდაზე მუშაობს", იგი აღარ შეეფერება ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას და აუცილებელია მისი „როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციონალური" გარდაქმნა.

მისივე სიტყვით „ეს ნაბიჯი ნაკარნახევია პროფესიული, მოქალაქეობრივი პოზიციითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით". ამავე დროს, ეს ყოფილა თავისებური „პროტესტი", რომლითაც მას სურდა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული სატკივარისათვის, ჩვენი მეცნიერების „ავადმყოფობისათვის".

კორესპონდენტის შეკითხვას — ხომ არ აპირებს ბ. ლომსაძე, როგორც პარლამენტის წევრი, გამოიყენოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მან დადებითად უპასუხა: „აუცილებლად, ამ საკითხს დავსვამ პარლამენტის წინაშე".

ამ პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ბ-ნი ლომსაძე დიდი ხანია შეპყრობილია ქართული მეცნიერების დასნეულებით გამოწვეული მწუხარებით, თურმე წლების მანძილზე არაერთხელ მიუმართავს სათანადო ორგანოებისათვის, მაგრამ მისი მიმართვები დარჩენილა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და იძულებული გამხდარა დღეს აღნიშნული განცხადების სახით გამოეხატა თავისი პროტესტი.

რა თქმა უნდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისი მუშაობა უნაკლო არაა და ეს არ წარმოადგენს დიდ საიდუმლოებას. მათი დაძლევა აუცილებელია ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი მემკვიდრეობით მიღებული მძიმე ტვირთია და დამახასიათებელია მთელი ჩვენი კულტურისათვის, შესაბამისი დაწესებულებებისათვის და არა მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიისათვის. მათი გამოსწორება ერთბაშად არ შეიძლება.

მეცნიერებათა აკადემიამ უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს — განთავისუფლდა პარტიული და სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან, აგრძელებს განვითარებას შემდგომი დემოკრატიზაციისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით. ბ-მა ბ. ლომსაძემ უნდა იცოდეს, როგორც პარლამენტის წევრმა, რომ მეცნიერებათა აკადემია პარლამენტის შესატყვის კომისიასთან ერთად ინტენსიურად მუშაობს მეცნიერების შესახებ კანონის შემუშავებაზე.

ჩვენს ინსტიტუტებს მიეცათ სრული დამოუკიდებლობა დირექციის არჩევაში, ფინანსურ საქმიანობაში და სხვ. შესრულდა წინასწარი სამუშაოები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკონტრაქტო სისტემაზე გადასასვლელად; დამყარდა უშუალო კავშირი და მეცნიერული თანამშრომლობა მსოფლიოს ისეთ სამეცნიერო ცენტრებთან, როგორიცაა ლონდონის სამეფო საზოგადოება, დიდი ბრიტანეთის აკადემია და მრავალი სხვა. დასრულების სტადიაშია აკადემიის ახალი წესდების შედგენა და სხვ.

რაც შეეხება ბ-ნ ლომსაძის კატეგორიულ და საკმაოდ მკვეთრი ფორმით გამოთქმულ შენიშვნებს და მოსაზრებებს, ისინი ან ზედმეტად ზოგად ხასიათს ატარებს, ან მიეკუთვნება აკადემიის გუშინდელ დღეს, არ შეეფერება ამჟამინდელ სინამდვილეს და გაუგებრობაზეა დამყარებული.

სრულიად გაუგებარია, მაგალითად, „იერიში" აკადემიკოსთა ხელფასზე, რომელიც მათ ეძლევათ წოდებისათვის, რაც, ლომსაძის სიტყვით, წარმოადგენს აკადემიაში გაბატონებული აჟიოტაჟის, ჯგუფობრიობის, არჩევნების დროს უღირსთა გასვლის, პირფერობის, კორუფციის, კარიერიზმის და სხვ. მიზეზს. იგი ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ მეცნიერებათა აკადემია არსებობს არა საწევრო გადასახადების საფუძველზე, და ფინანსდება დღემდე „სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ბეგარის გადამხდელის ხარჯზე". არა და, ყველა ჩვენი აკადემიკოსის წოდების ანაზღაურება რომ შეკრიბო, ერთი ამერიკელი პროფესორის თვიურ ხელფასს თუ შეადგენს.

აქ ბ. ლომსაძემ, ჩანს, თავისდაუნებურად მიაგნო ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ მტკივნეულ, სახელმწიფოებრივ დოტაციაზე მყოფ დაწესებულებათა დიდი ხვედრითი წონის პრობლემას, მაგრამ რატომღაც მხოლოდ აკადემიისა და მის სისტემაში მომუშავეთა ანაზღაურების სპეციფიკურ თავისებურებად მიიჩნია და „შეუმჩნეველი" დარჩა, რომ მისი უნივერსიტეტში აღებული ხელფასი ასევე ფინანსდება „ბეგარის გადამხდელთა ხარჯზე" და ციდან არ ცვივა ბიბლიური მანანის მსგავსად.

ასევე კარგად უნდა იცოდეს მან, რომ „წოდების ხელფასი" ან ის დანამატი, რომელსაც ყველა დოქტორი და პროფესორი ღებულობს, ვთქვათ, უნივერსიტეტში, ზუსტად იმავე სოციალური ბუნებისაა და ისევე მომდინარეობს „ბეგარის გადამხდელისაგან", მაგრამ ბ-ნ ლომსაძეს არასოდეს დაუნახავს მასში ყოველგვარი მანკიერების წყარო და არ მოუთხოვნია მისი გაუქმება. დავძენთ, რომ ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში მეცნიერებისა და განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხდება.

• • •

ბ-ნი ლომსაძის აზრით, „ცივილიზებულ ქვეყნებში მეცნიერება ვითარდება უნივერსიტეტებში, რომლებიც განლაგებულნი არიან დიდ და პატარა საუნივერსიტეტო ქალაქებში, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების თანახმად... ხელფასიანი აკადემიკოსობა დააარსა კომპარტიის პოლიტბიურომ ყოფილ საბჭოთა იმპერიაში, რათა მეცნიერები შორს ყოფილიყვნენ პოლიტიკური ცხოვრებისაგან და გაეტარებიათ პარტიის პოლიტიკა მეცნიერებაში".

საქმე ისაა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში შესანიშნავად თანაარსებობს მეცნიერების განვითარების ორი ფორმა — საუნივერსიტეტო და აკადემიური. ზოგან უპირატესად განვითარებულია საუნივერსიტეტო, ზოგან კი აკადემიური, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მეცნიერების წინსვლას, ხოლო თვით აკადემიის სტრუქტურას დიდი ტრადიცია აქვს. საფრანგეთის აკადემია დაარსდა 1635 წელს, ინგლისის სამეფო საზოგადოება 1660 წელს, პრუსიის მეცნიერებათა აკადემია 1700 წელს, ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დაარსებულია 1724 წელს პეტრე პირველის მიერ. სხვათა შორის ხელფასიანი აკადემიკოსობა შემოიღო არა კომპარტიის პოლიტბიურომ ყოფილ საბჭოთა იმპერიაში, არამედ პეტრე პირველმა — რუსეთში, მისივე სიტყვით, — აკადემიის წევრებს ცხოვრების ადამიანური პირობები რომ ჰქონოდათ.

ბ-ნი ბორის ლომსაძე წერს: „მადლობა ღმერთს, დაიშალა საბჭოთა კავშირი, სამწუხაროდ, უმალვე შეიქმნა ქართული პატარა ვაკი" (ალბათ, იგი გულისხმობს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს). ეტყობა მან არ იცის, რომ ქართველი მეცნიერების დიდი დამსახურებაა „ვაკის" სტრუქტურის გაუქმება და სრულიად გამართლებულია მის სანაცვლოდ სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შექმნა, რომელიც „ვაკისგან" განსხვავებით, ცნობილ ქართველ მეცნიერთა საზოგადოებრივ საწყისებზე დროებით მოქმედი საკრებულოა. სწავლულ ექსპერტთა საბჭომ დიდი სამუშაო შეასრულა ხარისხებისა და წოდებების მინიჭების დებულებისა და წესდების შედგენაზე. იგი იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს საკვალიფიკაციო საბჭო და, რაც მთავარია, ისევ „ვაკისაგან" განსხვავებით, არ ერევა საკვალიფიკაციო საბჭოების მუშაობაში. ხარისხებისა და წოდებების მინიჭებაზე მთელი პასუხისმგებლობა აკისრია სამეცნიერო საბჭოს და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

ბ-ნ ლომსაძეს ამერიკის ცხოვრებიდან მოაქვს მაგალითი, — როგორ დააპატიმრეს 1887 წელს 14 მეცნიერი და როგორ დარჩა უმუშევარი 68 მეცნიერი სამეცნიერო ფაქტების ფალსიფიცირების გამო. ამერიკული მაგალითი იმისათვის სჭირდება, რომ კვლავ ქართველ მეცნიერებს დაუბრუნდეს: „ჩვენთან, სამწუხაროდ, ასეთი კატეგორიის ადამიანებს გზა ხსნილი აქვთ დოქტორობისაკენ, პროფესორობისაკენ, კათედრის გამგეობისაკენ და აკადემიისაკენაც კი" (!).

ამდენი უაღრესად კატეგორიული ტონით გამოთქმული ბრალდების შემდეგ, რომლებსაც ის უყენებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ქართველ მეცნიერებს საერთოდ, მოსალოდნელი იყო, რომ იგი ერთ მაგალითს მაინც მოიყვანდა ჩვენი სინამდვილიდან, მაგრამ ასე არ მოხდა და ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდა. პუბლიკაციას „უარს ვამბობ..." წინ პატარა შესავალი უძღვის, სადაც ბ-ნ ბ. ლომსაძის ყველა წოდება, სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობაა წარმოდგენილი. ბატონი ბორისი — ვკითხულობთ აქვე — ჩვენი ავტორია, არაერთხელ გვითანამშრომლია". ბუნებრივია, რომ აქ აკადემიკოსის წოდება მოხსენებული არაა, მაგრამ **ინტერესს არ არის მოკლებული ის, თუ როგორია ბ-ნ ლომსაძის პრინციპული დამოკიდებულება ამ წოდებისადმი.**

კორესპონდენტის შეკითხვაზე — თუ მიგიმართავთ აღნიშნულ საკითხზე სათანადო ორგანოებისთვის, ბ. ლომსაძემ ამგვარი პასუხი გასცა: „ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ შევეცადე დამესვა საკითხი მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ".

პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ბ. ლომსაძეს თავისი მზრუნველობა საკავშირო აკადემიისთვისაც არ მოუკლია და 1987 წელს დეპეშა გაუგზავნია სკკპ XIX პარტიული კონფერენციისათვის:

«Чтобы наша наука заняла достойное место в мире, необходимо отменить оплату за звание академика. Неприличный ажиотаж во время выборов, групповщина, прохождение недостойных, атмосфера лести, коррупция, семейственность, карьеризм, во многом являются следствием существующей системы оплаты».

მიუმართავს საქართველოს აკადემიისათვისაც, მაგრამ შედეგი არც ამას მოჰყოლია.

რა მოხდა ამის შემდეგ, ამაზე არც კორესპონდენტს უკითხავს, არც თავად ბ-ნ ლომსაძეს უთქვამს რაიმე, და არც მკითხველისათვის არის ცნობილი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, როგორი სულიერი განწყობილება უნდა დაუფლებოდა მეცნიერებისათვის თავდადებულ და „დასნეულებული" მეცნიერების მკურნალად მოვლენილ პიროვნებას და როგორი უნდა ყოფილიყო მისი შემდგომი ნაბიჯები მეცნიერული კარიერის გზაზე. და აი, მოხდა ის, რაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო: **1987 წელს, XIX კონფერენციაზე ზემოაღნიშნული დეპეშის გაგზავნის ერთი წლის შემდეგ, ბ-ნი ბორის ლომსაძე კვლავ აღმოჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის მაძიებელთა სიაში, მაგრამ... აქ უკვე მარცხი განიცადა, საკმარისი ხმები ვერ მიიღო.**

ამ ფაქტიდან დღევანდლამდე კიდევ 5 წელი გავიდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ კიდევ ერთხელ გამოაცხადა ნამდვილი წევრების არჩევნები. და მიუხედავად ბ-ნ ლომსაძის კატეგორიული განცხადებისა, რომ ამჯერად არჩევნები მხოლოდ „ელიტის შესავსებად" არის გამოცხადებული და არსებითად ჩვენს დღევანდელ პირობებში, — ომისა, ახალგაზრდობის დაღუპვისა, ამდენი ლტოლვილებისა და შიმშილის პირობებში — არჩევნები „უბრალოდ ამორალობაა" (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 12. V. 93), ის კვლავ პრესაში გამოქვეყნებულ პრეტენდენტთა სიაშია, („საქართველოს რესპუბლიკა". 18. V. 93).

ამ „მოვლენათა შემდგომი მსვლელობის" მოკლე ქრონიკა ასეთია:

ბიოლოგიის ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ადგენს ბ-ნ ბ. ლომსაძის კანდიდატურას; ბ-ნი ლომსაძე მადლობას უხდის საბჭოს, მაგრამ აცხადებს, რომ აკადემიკოსობის სურვილი მას არა აქვს და საბუთებს აკადემიაში არ წარადგენს. მიუხედავად ამისა, 11 მაისს შემოაქვს საბუთები აკადემიაში და მისი გვარი, როგორც ითქვა, ფიგურირებს გაზეთში გამოცხადებულ ოფიციალურ სიაში; ამის შემდეგ, 2 ივნისს აგზავნის აკადემიის პრეზიდენტის სახელზე განცხადებას და უარს აცხადებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. წინა დღეებში მას შემოაქვს საექსპერტო კომისიისათვის დამატებითი მასალები (შრომები), რომლებიც ხელს შეუწყობდა მათი ავტორისათვის მხარის დაჭერას. რა მოხდა და როგორი განცხადებით გამოვიდა ბ-ნი ლომსაძე 12 ივნისს — ეს ყველასათვის ცნობილია.

ყველაფერი რაც ითქვა, იძლევა საფუძველს, ვფიქრობთ, რომ ბ-ნ ლომსაძის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ გამოთქმული შეხედულებანი და განსაკუთრებით ტონი არაა მოტივირებული იმ მოსაზრებებით, რომლებითაც, ბ. ლომსაძის სიტყვით, ის ხელმძღვანელობდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ითქვა, აქვს ნაკლოვანებანი და ხარვეზები, მაგრამ მათი გამოსწორება შეიძლება მხოლოდ სერიოზული, საქმიანი და დინჯი მოქმედებით და, რაც მთავარია, ყოველ შენიშვნაში უნდა იგრძნობოდეს მათი დაძლევის გულწრფელი სურვილი და არ წარმოადგენდეს ვნებათა შეგნებულ თუ შეუგნებელ დემონსტრაციას. მიდგომა უნდა იყოს კონსტრუქციული და არა დესტრუქციული, როგორც ეს ბ-ნ ლომსაძის პოზიციას ახასიათებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები:

შალვა ხიდაშელი,
მალხაზ ზაალიშვილი,
გურამ გველესიანი.

ინფორმაცია-93

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. 30. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა შავი ზღვის აუზის ქვეყნების არქიტექტორთა კავშირების ასოციაციად ჩამოყალიბების მიზნით. თანხმობა უკვე მიღებულია უკრაინიდან და ბულგარეთიდან.

ზუგდიდი. 30. უკანასკნელ ხანს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას დაქვემდებარებულ ჯარში მსახურობს 200-მდე დაქირავებული რუსი მეომარი.

„იბერიის" კორესპონდენტთან საუბრისას, ვახტანგ ქობალიამ უარყო ეს ცნობა და განაცხადა, რომ რამდენიმე რუსი ეროვნების ჯარისკაცი, რომელიც მისადმი დაქვემდებარებულ გვარდიაში მსახურობს, საქართველოში დაბადებული და საქართველოს მოქალაქეა.

ლოთი ქობალიამ ხაზი გაუსვა, რომ მის ხელთ არსებული იარაღი მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამოიყენება. „მე არასოდეს ვუღალატებ ქართველი ერის წინაშე დადებულ ფიცს, რომ აღვადგენ საქართველოში კანონიერებას", — დასძინა ლოთი ქობალიამ.

სამტრედია 30. სამტრედიის რაიონში ჩაის კრეფა საკმაოდ დაგვიანდა, საწვავის უქონლობის გამო კი, გაძნელებულია მოკრეფილი ჩაის ტრანსპორტირება. დღეისათვის სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში მოიკრიფა 466 ტონა ჩაი, რაც შარშანდელ წელთან შედარებით 440 ტონით ნაკლებია. მოკრეფილი ჩაი უხარისხოა.

სამტრედია 30. ამ დღეებში სამტრედიაში გამოქვეყნდა ქალაქის გამგეობის განკარგულება, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთისა და სხვა შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა, აგრეთვე ბრძოლებში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარებას, ძირითადად, კომუნალური და სხვა, მსგავსი გადასახადების გაუქმებას, ან შემცირებას 50 პროცენტით.

თბილისი. 1. 1993 წლის 30 ივნისს ევროთათბირის მისიის თხოვნით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის შტაბ-ბინაში გაიმართა შეხვედრა კავშირის პოლიტიკურ საბჭოს წევრებსა და მისიის წარმომადგენელთა შორის.

საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტებს და მათი მოგვარების გზებს. აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა კონფლიქტების პოლიტიკური გზებით მოგვარებისათვის.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია დიფერენციული მიდგომა ამ კონფლიქტების მიმართ, თუმცა ყველა შემთხვევაში პოლიტიკური ძიება აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტი დამთავრდა

გუშინ დამთავრდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი საბერძნეთში. ვიზიტის ბოლო დღეს იგი შეხვდა ბერძენ მეწარმეებს, უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ლიდერს ანდრეას პაპანდრეუს. ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, აგრეთვე სხვადასხვა სფეროში ორმხრივი კავშირურთიერთობის განვითარების მთელ რიგ შეთანხმებებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რუსეთს გამოუყო ერთნახევარი მილიარდი დოლარი სესხი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის და საბაზრო რეფორმების ხელშესაწყობად. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა ბენსენმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა სავალუტო ფონდის გადაწყვეტილების გამო, განაცხადა, რომ იგი დაადასტურებს დასავლეთის მზადყოფნას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება — დაეხმაროს რუსეთს რეფორმების განხორციელებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივა

ამერიკის შეერთებული შტატები მისიამ გაეროში ოფიციალურად წარადგინა წინადადება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის მიღების შესახებ ისე, რომ უშიშროების საბჭოს სტატუსი არ შეიცვალოს.

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გაეროს მუდმივი წევრების რიცხვის გაზრდის წინააღმდეგი არიან.

ადმირალ ბალტინის ბრძანება

შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ბალტინმა გასცა ბრძანება ყველა ხომალდზე აღმართონ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ალამი. ამავე დროს, ფლოტის ოფიცრებმა, რომლებიც ამ კვირის დამდეგს ფლოტის მთავარ ბაზაში — სევასტოპოლში შეიკრიბნენ, გადაწყვიტეს გემებზე ტრადიციული რუსული ანდრიას ალმის აღმართვა. ისინი არ ეთანხმებიან რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების გადაწყვეტილებას ფლოტის თანაბრად განაწილების შესახებ და მოუწოდეს არ მოახდინონ ამ შეთანხმების რატიფიკაცია, შეინარჩუნონ ერთიანი ფლოტი და დაუქვემდებარონ იგი რუსეთის უზენაესი საბჭოს იურისდიქციას.

ბრძოლები გრძელდება

ბოსნიელმა ხორვატებმა განაცხადეს, რომ მუსლიმანთა ძალებმა ხელში ჩაიგდეს ხორვატების ბაზა ქალაქ მოსტარში. ამ რაიონიდან მიღებული ცნობით ბოსნიელმა ხორვატებმა გამოაცხადეს არმიაში ყველა გასაწვევი ასაკის მოქალაქის მობილიზაცია. სარაევოში გაეროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ბრძოლების გამო ორჯერ მცირდება სასურსათო დახმარება ცენტრალურ ბოსნიაში, შემცირდება აგრეთვე ჰუმანური დახმარება სარაევოსათვის.

პალესტინის დელეგაციამ უარყო

ვაშინგტონში პალესტინის დელეგაციამ არაბეთ-ისრაელის ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოწესრიგების მოლაპარაკებაზე უარყო ამერიკის შეერთებული შტატების გეგმა, რომელსაც მოლაპარაკება ჩიხიდან უნდა გამოეყვანა: პალესტინის დელეგაციის წარმომადგენელმა ხანან აშრაუიმ განაცხადა, რომ ეს გეგმა „სრულიად მიუღებელია, ეწინააღმდეგება მშვიდობიანი პროცესის ძირითად პრინციპებს და გაეროს რეზოლუციებს". მას არაფერი არ უთქვამს ამ გეგმის არსის შესახებ, მაგრამ აღნიშნა, რომ მისი უარყოფა დაკავშირებულია აღმოსავლეთ იერუსალიმის სტატუსის საკითხთან, რომელიც ისრაელის ხელშია. ისრაელის მთავრობა მთელ ქალაქს მიიჩნევს ქვეყნის დედაქალაქად და რომ ეს საკითხი განხილვის საგანი არ არის.

გუშინ არაბეთ-ისრაელის მოლაპარაკების მე-10 რაუნდი ფაქტობრივად რაიმე დადებითი შედეგით არ დამთავრებულა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუფარავი აგრესია უწოდა სომეხთა შეიარაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის ქალაქ აგდერის და მის ირგვლივ სოფლების ხელში ჩაგდებას. რომ აგრესორის მიზანია ახალი ტერიტორიების ანექსიის გარდა შიდაპოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში, სადაც თავიდან იქნა აცილებული სამოქალაქო ომი.

გარკვეული ოპტიმიზმი

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ბორის ფიოდოროვმა გარკვეული ოპტიმიზმი გამოთქვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა ისეთია, რომ არ იქნება საჭირო ახალი შოკური თერაპია". მინისტრის აზრით უახლოეს პერიოდში ინფლაციამ თვეში შეიძლება შეადგინოს 15 პროცენტზე ნაკლები, მიუხედავად პირველი ივლისიდან ქვანახშირზე ფასების ლიბერალიზაციისა.

პალესტინელთა ლიდერის განცხადება

კაიროში მყოფმა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა იასირ არაფატმა განაცხადა, რომ ვაშინგტონში მიმდინარე არაბეთ-ისრაელის მოლაპარაკება უკანასკნელი შანსია ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი მოწესრიგების. მათი ჩაფუშვა აღნიშნა, მან, რეგიონში ქაოსსა და ვითარების ბალკანიზაციას გამოიწვევს. არაფატმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაიკავოს სამართლიანი შუამავლის როლი მოლაპარაკებაზე და დაინტერესება გამოთქვა ვაშინგტონის ახალ წინადადებებზე, რომლებიც უნდა წამოაყენონ მოლაპარაკების ჩიხიდან გამოსაყვანად.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ფარსულის ფურცლებიდან

ვინ იყო კაც მაანი?

ბიჭვინთასთან, სოფელ ხვაფში, მაღლობზე, რომელიც კარგად იყო დაცული მტრის შემოსევისგან, იდგა აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ფეოდალის და გავლენიანი გენერლის კაც ბეჟანის ძე მაანის (მარღანია) სახლი. კაც მაანი დაიბადა 1766 წელს, გარდაიცვალა 100 წლის ასაკში, 1866 წელს. დასაფლავებულია გუდაუთაში, ზღვისპირა პარკში. იგი იყო გამჭრიახი გონების ერთ-ერთი პირველი აფხაზი პოლიტიკოსი.

აღმოსავლეთ კავკასიის დამორჩილებამდე კაც მაანი მრავალჯერ დახმარებია რუსეთის ხელისუფლებას, მეთაურობდა რუსეთის სამხედრო რაზმებს და მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და სხვა ჯილდოებით. 1839 წელს მას პოლკოვნიკის, ხოლო 1846 წელს — გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ეკლესიაში, სადაც აფხაზები იყვნენ ჩასაფრებული, მოწინააღმდეგე დიდი ძალით შეიჭრა, მოხდა შეტაკება, რომელსაც მხოლოდ ერთი აფხაზი, კაც მაანი გადაურჩა. იგი ამ ბრძოლის შესახებ იგონებს, რომ ეს იყო რაღაც საშინელება, რაც კი რამ უნახავს ცხოვრებაში.

კაც მაანი გამოირჩეოდა გონიერებით, სიმამაცით, მტკიცე ხასიათით, ჰქონდა დიდი გავლენა არა მარტო აფხაზეთში, არამედ მეზობელ მთის ტომებს შორისაც. 1844 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტზე, რომელშიც კაც მაანი იყო ნახსენები, ნიკოლოზ პირველმა გააკეთა წარწერა: „პირადად ვიცნობ“.



მიხეილ შერვაშიძის მთავრად დანიშვნის პერიოდში აფხაზეთში განამწესეს მე-3 განყოფილების ახალი უფროსი, პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი) ნ. მურავიოვი. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ დაუახლოვდა აფხაზეთის ორ ყველაზე გავლენიან პირს — მთავარსა და კაც მაანს. როდესაც მთავარს ვაჟი შეეძინა, მურავიოვის ბრძანებით ბომბორაში მოახდინეს 101 საარტილერიო გასროლა. ფაქტობრივად, მთავარი მთლიანად მურავიოვის გავლენის ქვეშ მოექცა და ყველაფერს მისი მითითებით აკეთებდა. უფრო ძნელი იყო კაც მაანის — ჭკვიანი, მამაცი, ეშმაკი, შესაშური ენერგიისა და მტკიცე ხასიათის მქონე მთიელის დაახლოება. იგი სათავეში ედგა საკმაოდ ძლიერ დაჯგუფებას, რომელიც დაუპირისპირდა აფხაზეთის მთავარს მიხეილ შერვაშიძეს. კაც მაანს, აფხაზების გარდა, მხარს უჭერდნენ მეზობელი ტომები: ჯიგეტები, უბიხები, ჩერქეზები და წებელდელები. შემდგომში ურთიერთობა შეიცვალა და კაც მაანი მთავრის მარჯვენა ხელი იყო როგორც მრჩეველი საგარეო და საერთოდ ყველა საქმეში, აგრეთვე მისი მფარველი და მეურვე.

აფხაზ ფეოდალთა უმრავლესობას, რომლებიც იმ ხანად მაჰმადიანობას აღიარებდნენ, წესად ჰქონდათ ერთ-ერთი ვაჟიშვილის სამეგრელოში გაგზავნა, სადაც იგი ქრისტიანობას იღებდა, სწავლობდა ქართულ წერა-კითხვას, განსაკუთრებით კი საღვთო სჯულს. კაც მაანმა ამ მიზნისათვის სიცოცხლეშივე შეარჩია ერთ-ერთი თავისი ვაჟთაგანი—ტიტუ, რომელმაც მართლაც მიიღო სამეგრელოში ქრისტიანობა, დაწყებითი განათლება, ცოლად შეირთო ქართველი თავადისასული მაკრინე ჩიჩუა და დაუბრუნდა მამას. შტაბს-კაპიტანის ჩინით იგი მსახურობდა რეგულარულ ჯარში, იყო გუდაუთის მილიციის უფროსი, დაჯილდოებული იყო ორდენებით. ტიტუ მაანი (მარღანია), ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, იყო „სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის“, „სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ წევრი, „მოკლე საღვთო ისტორიის“ ერთ-ერთი მთარგმნელი, იყო საკმაოდ განათლებული, მიმზიდველი გარეგნობისა და ძალიან გულადი პიროვნება.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) წერს: „ორი საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ადგილობრივი მემამულის, აზნაურისა და ქრისტიანის ტიტუ მარღანიას სახლში, მისი მამა იყო მეტად მდიდარი, რუსეთის სამსახურის გავლენიანი გენერალი და მაჰმადიანი. შეკრებილ იქნა სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რაოდენობა — ქრისტიანები და მაჰმადიანები... აფხაზეთის უსამღვდელოების ამალაში დიდი ხანია იმყოფება პროტოდიაკვანი ანტონი სამეგრელოს აზნაურთაგან, გვარად დგებუაძე... საკმარისი გამოცდის შემდეგ მე იგი ვაკურთხე და დავტოვე მარღანიას სახლში. მარღანიას ქართველი მეუღლე მისი ნათესავი აღმოჩნდა. მარღანია და მისი მეუღლე ამით გახარებული დარჩნენ, დამპირდნენ, რომ მისცემენ ჭერს და შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან ახლადმონათლულთა რწმენის განმტკიცებაში და მათი ოჯახების მოქცევაში, აგრეთვე დასაწყისისათვის ხის ეკლესიის აშენებაში, სადაც ჩატარდება ღვთისმსახურება“.

ტიტუ მაანს ჰყავდა ორი ქალიშვილი — ეკა და ნინო. ეკა მაანი გათხოვილი იყო თავად ლევან (კიტი) მხეიძეზე. ლევანი — რუსეთის ჯარის ოფიცერი — მსახურობდა იმპერატორის ამალაში. ლევან მხეიძის პორტრეტი (ცნობილი გერმანელი მხატვრის გერშელდის ნამუშევარი) ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მეორე ქალიშვილი ნინო ცოლად ჰყავდა ცნობილ აფხაზ აზნაურ მურზაყან ლაკერბაიას. გუდაუთიდან ორი ვერსის მანძილზე, ათონის გზატკეცილის მხარეს მდებარეობს მშვენიერი აგარაკი (ამჟამად სანატორიუმი „მშვენებელი“), იგი ლაკერბაიას ეკუთვნოდა.

კაც მაანის ერთ-ერთი შვილი— ქამლათ მაანი სიმამაცესთან ერთად დაჯილდოებული იყო მჭევრმეტყველების ნიჭით. როდესაც გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო და შემოიღეს რუსული მმართველობა, იგი არ დაემორჩილა ახალ ხელისუფლებას და ოჯახიანად თურქეთში გადაიხვეწა, სადაც დიდი პატივით შეხვდნენ ქამლათს, როგორც მათი მტრების ძველ მოწინააღმდეგეს, უბოძეს სასახლე სტამბულის ცენტრში, მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება და სათავეში ჩაუყენეს აფხაზ მუჰაჯირებს. ქამლათი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი გააგზავნეს არაბულ ქვეყანაში, რომლის იმამი „თვითნებობდა და აღარ ემორჩილებოდა თურქებს“, ქამლათმა დაამარცხა იმამის არმია, იმამი კი ტყვედ ჩაიგდო, იგი გმირის სახელით დაბრუნდა სტამბულში და მოხვდა პირდაპირ ქორწილში — მისი ქალიშვილი, საოცარი სილამაზის ნაზიფა, ცოლად მიჰყვებოდა თურქეთის სულთან აბდულ-ჰამიდ II, რომლის დედა ვალიდე ჩერქეზის ქალი იყო. შემდეგ ქამლათ მაანი გაემგზავრა მექაში. გარდაიცვალა ეგვიპტეში, იქვე დაკრძალული.

კაც მაანის შვილიშვილი ოზბეკ მაანი ყველგან ინაწილებდა თავისი ბიძის — თურქეთის არმიის მხედართმთავრის ქამლათ მაანის მხედრული ყოფის სირთულეებს, იყო მეტად ყოჩაღი, და კარგად დარბოდა. ერთხელ, იგი შეეჭიბრა აფხაზეთის საუკეთესო დოღის ცხენებსაც კი. მოქნილობამ, ენერგიულობამ და უტეხმა ხასიათმა ოზბეკს დიდი სახელი მოუხვეჭა ხალხში. ერთხანს იგი აფხაზეთის ერთ-ერთი სოფლის მამასახლისიც იყო და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. მჩქეფარე ტემპერამენტის გამო მას უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო, ოზბეკ მაანი თავისი ბიძის ქამლათის, კაც მაანის ძმის ქამბულათის (შემდგომში თურქეთის მხედართმთავარი) და ბიძაშვილ მუსტაფას მსგავსად გადაიხვეწა თურქეთში.

კაც მაანის ძმის, რუსეთის არმიის პორუჩიკ ჰასანის ქალიშვილი იყო კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ნათლული. ჰასანი და მისი ქალიშვილი დაკრძალულნი არიან ეშერაში, ანდერსენის, იურევიჩისა და გრაფ მუსინ-პუშკინის აგარაკების, ახლოს, ჰასან მაანის მშვენიერი ვაშლის ბაღის ტერიტორიაზე. კაც მაანის ქალიშვილის ხიმზალა მაანის შვილიშვილი არზაყან ემხვარი 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

კაც მაანის და ცოლად ჰყავდა უბიხთა წინამძღოლს ჰაჯი ბერზეკ ქურანტუხს „ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კაცს უბიხთა მიწაზე“.

ამჟამად გენერალ კაც მაანის შთამომავალნი ბევრნი ცხოვრობენ საქართველოსა და თურქეთში.

ლეონიდე ქიქოძე.

სურათზე: გენერალი კაც მაანი (მარღანია).

ვ. ბაბარინის ნახატის (1847 წელი) ფოტორეპროდუქცია.

რუსული პრესიდან


А ЭТО, МИЛОК, ВСЁ, ЧТО МНЕ ОТ ПРИВАТИЗАЦИИ ДОСТАЛОСЬ

წარწერაში ნათქვამია: „აი, ესაა და ეს, შვილო, რაც პრივატიზაციამ მარგუნა“.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

კაკულიას პრეპარატის სიკეთე

ფუტუროლოგები, არც თუ უსაფუძვლოდ, შეშფოთებას გამოთქვამენ მცენარეთა დაცვის საშუალებებით და ქიმიური სასუქებით უზომოდ გატაცების გამო. დედამიწა გამოიფიტა, ქიმიის გამოყენების გარეშე საჭირო რაოდენობის საკვებს ველარ იძლევა, პარაზიტთა სიმრავლეც ქიმიის თანადგომას მოითხოვს, რომელსაც სიკეთესთან ერთად, თან ახლავს სერიოზული საფრთხე.

სწორედ ამ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა დაუდო სათავე მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დღის შესაძლებელია ენტომოპათოგენური ჭიებით მავნე მწერებთან ბრძოლა, ამ ბიოპრეპარატით, ნემატოდობაქტრიალური კომპლექსით, შხამქიმიკატებისა და პესტიციდების შეცვლა.

ზემოაღნიშნული ბიომეთოდი უკვე 21 ქვეყანაშია დანერგილი, საქართველო, ამერიკისა და კანადის შემდეგ, რიგით მესამე იყო, სადაც ეს პრეპარატი შეიქმნა, თუმცა ზოგიერთების გულგრილობის თუ უპასუხისმგებლობის გამო, მან დღემდე თავის ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

პრეპარატი სხვადასხვა კონცენტრაციით წარმატებით გამოიყენება 150-მდე სახეობის მავნე მწერის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ანადგურებს ტყისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებს. იხმარება ბუჩქების, კოღოების და მატლების, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის, ჭარხლის მავნებლების წინააღმდეგ.

და აი, საქართველოში გაიცნობიერეს პროფესორ გოლია კაკულიას მიერ შექმნილი ბიოპრეპარატის სიკეთე და დაიწყეს კიდეც მისი მასობრივი წარმოება. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა სულიკო კირთაძემ.

ვფიქრობთ, შხამქიმიკატებთან შედარებით იაფი და ეფექტიანი, მოსავლიანობის ზრდის ხელშემწყობი პრეპარატის მწარმოებელი ლაბორატორია ყურადღების მიღმა არ დარჩება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მეცნიერებს, შესაბამის უწყებებსა და სამსახურებს.

დამატებითი ინფორმაციისა და თვით ბიოპრეპარატისთვის მიაკითხეთ: ყაზბეგის პროსპექტი № 28.

ფერიდე ბიწაძე.

აქცია დროებით შეწყდა

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ შიმშილობა დაიწყეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა, რომლებიც უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხეცურიანისაგან მოითხოვენ მათი პედაგოგის, ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრის გამგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მარინე ფირცხალავას მიმართ სამართლიანობის აღდგენას.

შევიტყვეთ, რომ გუშინ აქცია შეწყდა.

—ოღონდ, შეწყდა დროებით, — უთხრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს მარინე ფირცხალავამ,— რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატებისაგან შემდგარი კომისია შეისწავლის ამ საკითხს და იმედი გვაქვს, ნათელს მოჰფენს ყველაფერს, მტყუანსა და მართალს გაარჩევს. დღეს, როდესაც ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას შევუდექით, არამც და არამც არ უნდა დავუშვათ ადამიანის უფლებების ისეთი ხელყოფა, როგორც ეს თუნდაც ჩვენს შემთხვევაში ხდება.

ლელა ბურდილაძე.

ახალი წყალსადენი—ლეღვნის წყალს...

ხარაგაულის რაიონის ცენტრს თითქმის ოცდაათი წელია წყალი მიეწოდებოდა სოფელ ლეღვნის წყალსადენიდან, რომლის სიგრძე ცამეტი კილომეტრია, მისი საამორტიზაციო ვადა თითქმის ამოწურულია, ამიტომ რაიონში ჯერ კიდევ 1984 წელს დაიწყეს სამზადისი მისი სრული რეკონსტრუქციისათვის, რისთვისაც შედგა 450 ათასი მანეთის ღირებულების საპროექტო დოკუმენტაცია.

დღემდე მისი მშენებლობა არ დაწყებულა, მაგრამ ამჟამად რესპუბლიკის მთავრობამ რაიონის ხელმძღვანელების მეცადინეობით, ლეღვნის წყალსადენის მშენებლობისათვის ორმოცი მილიონი მანეთი გამოყო. სამუშაოს დამკვეთია ჭიათურის კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, შემსრულებელია ზესტაფონის მოძრავი მექანიზებული კოლონა.

წყალსადენის ექსპლოატაცია გამიზნულია წლის ბოლოსათვის.

ჯენრი შარიქაძე.

დროა გახდეთ კერძო მესაკუთრე

დაგეხმარებით ფირმის გახსნაში

დაგეხმარებით სახელმწიფო საწარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნაში

დაგეხმარებით ბუღალტერიის წარმოებაში

ახლახან გამოვიდა პოეტ ჯანსულ კორძაიას ლექსების ახალი კრებული „იმ დღეების ქრონიკა“.

ქართველი მკითხველი პოეტს უკვე იცნობს, როგორც ორიგინალური ხედვის ავტორს.

ახალ კრებულში შესული ლექსები ყურადღებას იპყრობენ ცხოვრების ფილოსოფიური გააზრებით, თანამედროვეობის ორიგინალური აღქმით.

იმ დღეების ქრონიკა

განუფრთხილდით ტყეს

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა ტყეების დაცვის პრობლემებს. თათბირზე გამოვიდნენ სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე დ. ვიგაური, გარემოს დაცვის მინისტრი შ. ადამია, პარლამენტის წევრები რ. მიმინოშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ზ. ჟვანია, ლ. მამალაძე, კონტროლის პალატის და ეკოლოგიური პოლიციის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, სატყეო მეურნეობათა ხელმძღვანელები. თათბირი შეაჯამა რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის მოადგილემ ვ. რჩეულიშვილმა. თათბირმა მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს ტყეების დაცვის დღევანდელ მდგომარეობას და მიიღო მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

დღეს, როდესაც ასე უჭირს საქართველოს, როცა მის სუვერენიტეტს, მის მთლიანობას უპირისპირდება გარეშე თუ შინაური მტერი, როცა განუკითხაობამ მოიცვა მთელი რესპუბლიკა, უნდა მოვუხმოთ გონიერებას და ყველაფერი ვიღონოთ, რათა არ გადავიჩეხოთ უფსკრულში ქვეყანა. ჩვენ მივმართავთ რესპუბლიკის მოსახლეობას, დიდსა თუ პატარას, განურჩევლად ეროვნებისა, დავუფიქრდეთ, რას ჩავდივართ, ნუ გავაჩანაგებთ ჩვენს ტყეებს, ნუ გავჩეხავთ მას გამდიდრების მიზნით, შევიგნოთ, თუ რა ზიანს ვაყენებთ ჩვენს ბუნებას. მამა-პაპათა ნალოლიავები ბუნება და მისი ერთ-ერთი მშვენება ტყე შველას ითხოვს და ჩვენც სიყვარული, მზრუნველობა მივაგებოთ მას.

საქართველოში ტყე არასოდეს ყოფილა გამდიდრების წყარო, იგი იცავდა და იცავს ჩვენს დღევანდელობას და ხვალინდელ დღეს, იგი ჰაერია, წყალია, ფილტვებია ჩვენი შვილებისა და, ბოლოს, სილამაზეა, რასაც ასე შენატრის ყველა. უტყეო საქართველო უდაბნო იქნება, ეს უნდა შევიგნოთ და გავიაზროთ ყველამ.

აშკარა — დაუჯერებელი

„ადამიანმა რომ შვება იგრძნოს...“

...გლდანელი ოთხი წლის ბავშვი ახლობლების თვალწინ იღუპებოდა. გადაცდენილი ქლიავის კურკა ფილტვის გვერდით გაიჩხირა, და ძალიან უძნელდებოდა სუნთქვას. ექიმის ყველა მცდელობა საავადმყოფოში დახმარებოდა პატარას, შედეგს არ იძლეოდა. შემთხვევითობამ შეახვედრა მისი მშობლები ექიმბაშ ციალა ქარსაულიძეს. მის მიერ ბალახებისაგან დამზადებულმა ნაყენმა ბავშვს მალე შეაძლებინა ნახველთან ერთად ორგანიზმიდან ამოეღო მომაკვდინებელი საშიში უცხო საგანი.

ახლა ამ უბრალო ქართველი ქალის მიერ დამზადებულ სასწაულმოქმედ წამალს სხვებიც იცნობენ. დიდაქალაქის ნაძალადევის რაიონის ზესტაფონის ქუჩაზე № 7 სახლში მცხოვრები მეზობლები, ახლობლები და ნაცნობები, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოდიან, როცა დაძლევენ ეჭვისა და უნდობლობის გრძნობას, ახლა ციალა ქარსაულიძეს მიმართავენ. თუ თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის, შარდის ბუშტის, ქალური დაავადებები, ანთებები აწუხებთ.

ბევრი განსაცდელი არგუნა ბედმა ამ ნებისყოფიან ქალს. ათი წლის წინათ მისი ქალიშვილისათვის ექიმთა მიერ გამოტანილმა საზარელმა დიაგნოზმა „ღვიძლის ციროზი“ ციალაზე განაჩენივით იმოქმედა. მარინეს არ უწყდებოდა სისხლიანი პირღებინება, მთლად გაყვითლებული, საჭმელსაც კი აღარ ეკარებოდა. ექიმებმა მშობლებს გოგონას შინ წაყვანა სთხოვეს... იმ უძილო ღამეებში ციალას საოცარი რამ დაესიზმრა: თეთრტანსაცმლიანმა კაცმა აჩვენა სამკურნალო მინდვრის მცენარეები, უთხრა, როგორ დაემზადებინა წამალი. მეორე დღეს მოსვენებადაკარგულმა დედამ მინდორში ეს ბალახები მოძებნა, მოხარშა და ნაყენი ქალიშვილს დაალევინა.

თავდაპირველად გოგონას ძლიერი პირღებინება აუტყდა, შემდეგ ზოგან კანი დაუსკდა, დაიწყო ჩირქოვანი გამონადენები. როგორც შემდეგ გაირკვა, პირღებინებამ გარეთ გამოიტანა უკვე მკვდარი ქსოვილები, მოწამლული შინაგანი სითხე. რამდენიმე დღეში კი დამსკდარმა კანმა იწყო შეხორცება, სიყვითლეც უქრებოდა თვალებში, სახეზე, სხეულზე. სიცოცხლის დაბრუნების პერიოდი დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. ტემპერატურამ იკლო, მადაც დაუბრუნდა. ახლა მარინე ბედნიერი ცოლი და დედაა.

სწორედ იმ დროიდან დაიწყო ციალა ქარსაულიძის აქიმობა, ავადმყოფების რიგები დადგა. მართალია, ხუთი წლის წინათ მას მოუწია კიდევ ერთი ოჯახური ტრაგედიის გადატანა. ქმარი ონკოლოგიურ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც დაუდგინეს შარდის ბუშტის კიბო და კვლავ — ხანგრძლივი ოჯახური მკურნალობა ბალახთა ნაყენებით, რომლებშიც სხვა კომპონენტებსაც ურევდა. მათ თუმცა მაშინვე არა, მაგრამ დროთა განმავლობაში შესამჩნევი შვება მოუტანეს ავადმყოფს, ახლა ქმარი თავად ეხმარება ცოლს სამკურნალწამლო ბალახების კრეფაში, გახმობაში, ავადმყოფების მოვლაში...

დღესაც არ ცვლის ციალა თავისი ცხოვრების რიტმსა და წესს— ოჯახში ყველაზე ადრე დგება და ყველაზე გვიან იძინებს. ამიტომ ყველაფერსაც ასწრებს. ღვთისმოსავი ქალი ისეთივე უბრალო დარჩა, როგორიც მრავალი წლის წინათ თბილისში ჩამოვიდა გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოდან. მისთვის ბედნიერია ის დღე, როცა შეჭირვებულ ადამიანს, რომელიც დასახმარებლად მიმართავს, დაეხმარება, შეუმსუბუქებს ტანჯვას.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ. (სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის“).

თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება

II კურსზე — საშუალო სკოლის ბაზაზე

1. ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.
2. საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის მართვა და გადაზიდვის ორგანიზაცია.
3. პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტოტექნიკური კომპლექსების ტექნიკური მომსახურება.
4. ავტომატიზებულ წარმოებაში პროგრამული მართვის ელექტრონული სისტემების გაწყობა და ექსპლუატაცია.
5. სამედიცინო ტექნიკის მონტაჟი ტექნიკური მომსახურება და რემონტი.
6. შედუღების წარმოების ტექნოლოგია.
7. ხის დამუშავების ტექნოლოგია.

დაუსწრებელი განყოფილება

II კურსზე — საშუალო სკოლის ბაზაზე — (ქართული და რუსული სექტორი)

1. პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტოტექნიკური კომპლექსების ტექნიკური მომსახურება.
2. ხის დამუშავების ტექნოლოგია.
3. ავტომობილების და ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

სწავლება უფასოა. განცხადებები მიიღება — 30 ივლისამდე.
კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაცია.
მისამართი: [illegible] ქ. #70, ტელ: 95-46-65, 95-21-43, 95-91-99.

ჯუმბერ ლეჟავას საოცარი ჩანაფიქრი

სრულიად საქართველო განაცვიფრა და აღაფრთოვანა 54 წლის თბილისელი ვაჟკაცის, წოლილი მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვების მრავალი გინესისა და მსოფლიო რეკორდის ავტორის, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ინფორმაციული სისტემებისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილების გამგის **ჯუმბერ ლეჟავას** გადაწყვეტილებამ — ველოსიპედით მარტოდმარტომ შემოუაროს დედამიწას.

სწორედ მომავალ უნიკალურ ველომარათონს მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ოვალურ დარბაზში გამართული სპორტისა და ტურიზმის კომისიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, მოგზაურობის გენერალური სპონსორები, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, ჟურნალისტები.

მომავალი ხუთწლიანი „ოდისეის“ გმირზე მოგზაურობის საორგანიზაციო საკითხებზე და კიდევ ბევრ რამეზე ისაუბრეს ბატონებმა ჟ. მარტავამ, რ. ღარიბაშვილმა, კ. ასათიანმა, კ. სალიამ, ზ. ხურციძემ, გ. მანიამ, ლ. ნაკაიძემ, დ. დემეტრაძემ და სხვებმა. სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და სხდომაზე დაგვიანების გამო ამ იდეის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა დეპუტატმა დ. კუპრეიშვილმა, მაგრამ მას იქვე განუმარტეს, რომ აღნიშნული ღონისძიება ქვეყანას ზარალს კი არა, პირიქით, როგორც რეკლამის უდიდესი საშუალება, მოგებას მოუტანს.

გია პლატონიშვილი.

„საპოვნელამ“ გზა იპოვა უძლიერესებში

თერჯოლის რაიონის კარგ სპორტულ ტრადიციებს შესანიშნავად განაგრძობს „საპოვნელას“ ფეხბურთელთა კლუბი, რომელმაც განვლილ სეზონში რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის საგზური მოიპოვა.

ამ წარმატებას მიეძღვნა დიდი ზეიმი, რომელიც ამასწინათ ქალაქის კინოთეატრ „გამარჯვებაში“ გაიმართა.

საზეიმო კონცერტის შემდეგ მოეწყო გუნდის დაჯილდოება.

ხსოვნა

როგნედა ლამბაშიძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როგნედა ლამბაშიძე.

იგი დაიბადა 1922 წელს ქ. ზესტაფონში.

რ. ლამბაშიძე 40 წლის განმავლობაში უნარიანად და მაღალ პროფესიულ დონეზე უძღვებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების დიდ ეროვნულ საქმეს. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით შეიქმნა და დაიბეჭდა 35 სამეცნიერო ტერმინოლოგია. მისი თეორიული კვლევის შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიაში „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986).

როგნედა ლამბაშიძეს, როგორც „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ ერთ-ერთ შემდგენელს, მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია, ხოლო გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი გახდა არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გამოკვლევებისათვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე.

სრულიად განსაკუთრებულია რ. ლამბაშიძის დამსახურება ქართული ენის ინგილოური დიალექტის ყოველმხრივ შესწავლის საქმეში, რისი ღირსეული დაგვირგვინებაც მისი „ქართული ენის ინგილოური ლექსიკონი“ (1988) იყო.

რ. ლამბაშიძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ენათმეცნიერებაში, ამიტომ მის სახელს მუდამ კეთილად მოიგონებენ და ღვაწლს სათანადოდ დააფასებენ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ენისა და ლიტერატურის განყოფილება, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

საშა გეგეჭკორი

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა საშა გეგეჭკორი. ყველას, ვინც მას ახლოს იცნობდა, გულს დაწყვეტს ამ შემოქმედი კაცის გარდაცვალება. თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული, ახალგაზრდობის გულითადი მეგობარი და აღმზრდელი, არაერთი ახალბედა ჟურნალისტის გზის გამკვალავი, საინტერესო მოსაუბრე. ეს თვისებები მრავალთაგან გამოარჩევდა საშა გეგეჭკორს. თავისი კაცობით იმკიდა იგი სიყვარულს თანამშრომლებსა თუ მეგობარ-ახლობლებს შორის. იმის მიუხედავად, რომ მის თავზეც გადაიარეს ქარტეხილებმა,. იგი ოპტიმისტად დარჩა. სიცოცხლის მოყვარულს ღვთით ჰქონდა ბოძებული უნარი — გარშემო მყოფთათვისაც გადაედო სიცოცხლის დიდი სიყვარული. იგი ბოლომდე დარჩა ნამდვილ კაცურ-კაცად, ჭეშმარიტ ქართველად.

გეგეჭკორების ოჯახში გაზრდილმა კაცმა ბრწყინვალე განათლება მიიღო, მაგრამ მოსკოვის უმაღლესი დიპლომატიური სკოლის დამთავრების შემდეგ, სამწუხაროდ, არ მიეცა დიპლომატიურ სარბიელზე ნიჭის გამოვლენის საშუალება. თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

საშა გეგეჭკორი 1958 წელს მოვიდა საქართველოს რადიოში, სადაც თითქმის 4 ათეული წელი იმუშავა. პენსიაზე გასვლის შემდეგაც მისი მართალი სიტყვა, მისი ნაცნობი ხმა დიდხანს ისმოდა ეთერში. თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის პერიოდში საქართველოს რადიოს წამყვან რეპორტიორსა და კომენტატორს, საშა გეგეჭკორს, საქართველოს ყველა რეგიონი, ყველა კუთხე უსმენდა... ნიჭიერი და ერუდირებული ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტები ყოველთვის აქტუალობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

დღეს ჩვენი კოლეგა და მეგობარი აღარ არის. ეს ჩვენი დიდი გულისტკივილია. ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ველარ ვიხილავთ კაცს, რომლის გულის კარი ყოველთვის ღია იყო ადამიანებისთვის. მით უფრო გულსატკენია მისი წასვლა ამ ქვეყნიდან. ამიტომაც ასე მწუხარებით ვეთხოვებით საშა გეგეჭკორს ყველა, ვინც მას იცნობდა, ან მასთან მუშაობდა.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თანამშრომლები, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

ვახტანგ შონია

მოულოდნელად გარდაიცვალა ხობის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებასთან არსებული საკუთრების დაცვის ყოფილი განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ვახტანგ ნიკოლოზის ძე შონია.

დაიბადა 1951 წელს ხობში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ 20 წელიწადი მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც განვლო გზა რიგითი პოლიციელიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. და ყველგან, სადაც კი უმუშავნია, ხასიათდებოდა დადებითად, საქმისმცოდნე, ღირსეულ და ერთგულ პიროვნებად.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი სიკეთით აღსავსე კეთილშობილი პიროვნება, ოთხი შვილის მოსიყვარულე მამა, შესანიშნავი მეუღლე, ერთგული მეგობარი და კოლეგა. მისი ნათელი ხსოვნა და ვაჟკაცური შემართება მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხობის შს განყოფილება.

„შანსი“ მისამართს იცვლის

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით გაზეთ „შანსის“ რედაქცია 15 ივლისიდან განუსაზღვრელი ვადით სამუშაოდ გადავა ქალაქ სოხუმში. გაზეთი აიწყობა, დაკაბადონდება, დაიბეჭდება აფხაზეთის დედაქალაქში და მთელს რესპუბლიკაში გავრცელდება.

ყურადღება!

რედაქციის გაძლიერების მიზნით, „შანსში“ სამუშაოდ ვიწვევთ პროფესიონალ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან. ჟურნალისტებმა განცხადებასთან ერთად 10 ივლისამდე აუცილებლად უნდა წარმოადგინონ სულ ცოტა 3 გამოქვეყნებული პუბლიკაცია (წერილი, ჩანახატი, რეპორტაჟი, ინტერვიუ, ნარკვევი, ფელეტონი). კორესპონდენტთა ვაკანტური ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

შეგახსენებთ, რომ „მეოთხე ხელისუფლების“ უმთავრესი მიზანია სამშობლოს სამსახური, ასე რომ „შანსელები“ ნიჭიერ, საქმიან კოლეგებს ელიან.

მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქუჩა 14, საკონტაქტო ტელეფონები: 93-38-52, 99-94-65.

გაზეთის დასაკაბადონებლად გვჭირდება ორი კომპიუტერი და ლაზერული პრინტერი.

ვინც სპონსორობას გაგვიწევს, შევახსენებთ, რომ ფრონტის ხაზზე გამომავალ გაზეთში გამოქვეყნებულ რეკლამას დედამიწის ზურგზე ვერავინ გაუწევს კონკურენციას.

„შანსის“ რედაქცია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА